მესხეთის უნივერსიტეტი

№3-4 (299) მარტი-აპრილი, 2026 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

შეხვედრა განათლების მინისტრთან

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა და მათ უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ძირითადი მიმართულებები გააცნო.

მინისტრის განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონში უმაღლესი განათლების განვითარებაში, ახალგაზრდების პროფესიულ წინსვლასა და მრავალეთნიკური საზოგადოების გაძლიერებაში. შეხვედრის მონაწილეებთან ერთად, მან განიხილა ისეთი საკითხები, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების მიღების კვოტების გადანაწილება, სტუდენტთა მობილობა და სხვა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: მინისტრის მოადგილე **ზვიად გაბისონია,** უნივერსიტეტის რექტორი **ვახტანგ თაქთაქიძე,** სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **ზაალ გელაშვილი,** ახალციხის მერი **ვარლამ წიკლაური** და ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარე **საბა კბილაშვილი.**

ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობისთვის

9 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამუშაო ვიზიტით ესტუმრნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენლები: რეგიონული ინგლისური ენის ოფიცერი **ჯონ სილვერი,** RELO-ს სპეციალისტი (ანკარა) **აიქენ იამანი** და საქართველოში ინგლისური ენის კოორდინატორი **ლიკა გუმბერიძე.**

RELO (Regional English Language Office) წარმოადგენს შეერთებული შტატების საგანმანათლებლო ინიციატივას, რომლის მიზანია ინგლისური ენის სწავლების ხელშეწყობა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და საერთაშორისო საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები დაესწრნენ პროგრამის English Language Fellow წარმომადგენლის **მაიქელ ვესიოუს** ლექციას.

დასასრულს გაიმართა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ **ვახტანგ თაქთაქიძესთან;** განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საგანმანათლებლო განყოფილებასა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის.

პროფესორ რაგული ინასარიძეს NASA-ს ჯილდო გადაეცა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორს – **რაგული ინასარიძეს,** აშშ-ს აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის ეროვნული ადმინისტრაციის ჯგუფური მიღწევის ჯილდო (NASA Group Achievement Award) გადაეცა.

ბატონი რაგული, კოლეგა **ვოვა აივაზიანთან** ერთად, მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კოლაბორაციაში – DART Period Change Determination Team. აღნიშნული პროექტი NASA-ს პლანეტარული დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და მიზნად ისახავდა კოსმოსური აპარატის კინეტიკური შეჯახების შედეგად ასტეროიდის ორბიტული მოძრაობის ცვლილების შესწავლას.

აღნიშნული ჯილდო გადაეცემათ იმ გუნდებსა და მკვლევრებს, რომლებმაც გამორჩეული წვლილი შეიტანეს სამეცნიერო კვლევების განვითარებასა და კოსმოსური ტექნოლოგიების წინსვლაში.

უნივერსიტეტი ულოცავს ბატონ რაგულისა და მის კოლეგას ამ უმნიშვნელოვანეს აღიარებას და უსურვებს შემდგომ პროფესიულ წარმატებებს. მსგავსი მასშტაბის მიღწევები კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი აკადემიური პერსონალის მაღალ კვალიფიკაციასა და მათ ღირსეულ როლს მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში.

● **სახელმწიფო** მინისტრი **თეა ახვლედიანი,** ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს შეხვდა. მან ახალგაზრდებს ქართული ენის დღე მიულოცა, ხაზი გაუსვა მის ისტორიულ მნიშვნელობას და ყურადღება გაამახვილა საქართველოს კულტურულად და ენობრივად მრავალფეროვან საზოგადოებაში სახელმწიფო ენის ცოდნის მნიშვნელობაზე, როგორც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი სტუდენტების განათლების, პროფესიული განვითარებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს წინაპირობაზე.

მინისტრმა ახალგაზრდებს გააცნო უწყების კომპეტენციაში შემავალი – შერიგებისა და ჩართულობის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ხაზი გაუსვა ეროვნული პრიორიტეტების აღსრულებაში ახალგაზრდების აქტიური როლის გაზრდის მნიშვნელობას.

გაგრძელება მე-2 გვ.

● **ახალციხის** მუნიციპალიტეტის მერი – **ვარლამ წიკლაური,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის დოქტორს, **ნათელა ბერიძეს** ესტუმრა, დედაენის დღე მიულოცა და მადლობა გადაუხადა ქართული ენის სწავლებასა და სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის.

ქალბატონი ნათელა უნივერსიტეტში მისი გახსნის დღიდან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. იგი, ამავე დროს, არის **„1+4 ქართულ ენაში მომზადების პროგრამის“** ხელმძღვანელი და დიდი წვლილი აქვს შეტანილი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლებაში.

ქალბატონი ნათელა არის პატივსაცემი, გამორჩეული და ყველასათვის საყვარელი ლექტორი. წლების განმავლობაში დიდი სიყვარულითა და თავდადებით ეწევა საყვარელ საქმიანობას ჩვენს უნივერსიტეტში. გულითადად ვულოცავ დედაენის დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და კიდევ ბევრი თაობის აღზრდას. – აღნიშნა ვარლამ წიკლაურმა.

სულიერი სიმშვიდის ხმები

გვ.9

ტრადიცია და ინოვაცია: რატომ უნდა გახდეთ სჯსუ-ს სტუდენტი

გვ.3

მშვიდობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი

გვ.5

„თეატრი – სული რომ არ დავკარგო“

გვ.12

პირველი გვერდიდან

ღონისძიების ფარგლებში აღინიშნა სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის **„1+4 ქართულ ენაში მომზადების პროგრამის“** ხელმძღვანელის **ნათელა ბერიძის** მრავალწლიანი ღვაწლი ქართული ენის სწავლებაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის. ასევე, სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ იმ სტუდენტებს, რომლებმაც ქართული ენის მოსამზადებელი კურსი წარმატებით დაასრულეს, საუკეთესო შედეგები აჩვენეს და მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან.

ქართული ენის დღეს წელს აღვნიშნავთ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან ერთად, რომლებიც სახელმწიფოს მხარდაჭერით სწავლობენ ქართულ ენას და ამ გზით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ შემდგომი განვითარებისა და წარმატებული მომავლისთვის. მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა, უშუალო და თბილ გარემოში ასეთ მიზანდასახულ და მოტივირებულ ახალგაზრდებთან ერთად განვიხილოთ ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების, მისი უფრო ფართო დამკვიდრების, განვითარებისა და სახელმწიფოებრივი სტატუსის გაძლიერების მნიშვნელობა, რაც უდავოდ ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელია ჩვენი მრავალეთნიკური საზოგადოების შემდგომი განმტკიცებისა და კონსოლიდაციისთვის. აქვე მსურს, მადლიერება გამოვთქვა ყველა იმ პედაგოგის მიმართ და გამოვხატო მათი ძალისხმევისა და ღვაწლის დაფასება, ვისაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ჩვენი არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის სწავლებასა და პოპულარიზაციაში. – განაცხადა თეა ახვლედიანმა.

სახელმწიფო მინისტრმა – თეა ახვლედიანმა, სამუშაო შეხვედრა გამართა სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების მერების განახლებულ შემადგენლობასთან, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების პროცესში მიღწეული ხელშესახები შედეგები და არსებული საჭიროებების საპასუხო სამომავლო ნაბიჯები.

ინფორმაციები

16 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში **დიდიე ტღებიუკი** ეწვია.

იგი უნივერსიტეტის რექტორს **ვახტანგ თაქთაქიძეს** შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ რექტორის მოადგილე, პროფესორი **მაკა ბერიძე,** ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი **გიორგი ბუცხრიკიძე** და განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ირმა ქურდაძე.**

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს რეგიონში ახალგაზრდების გაძლიერების სტრატეგიული მიმართულებები, რაც გულისხმობს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობასა და იმ შესაძლებლობების შექმნას, რომლებიც ახალგაზრდებს საკუთარი პოტენციალის რეგიონშივე გამოვლენის საშუალებას მისცემს.

შეხვედრა გაგრძელდა სტუდენტებთან აქტიური დისკუსიით, რომელიც UNICEF-ის მხარდაჭერით გახსნილ ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრში გაიმართა. საუბრის მთავარი თემები იყო:

ახალგაზრდებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; რეგიონში ახალი შესაძლებლობების შექმნა და სტუდენტების პროფესიული განვითარება; ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში ინკლუზიური განათლებისა და თანასწორობის ხელშეწყობა.

ბავშვთა უფლებების ცოდნის ცენტრი იმ წარმატებული პარტნიორობის მაგალითია, რომელიც უნივერსიტეტისა და გაეროს ერთობლივი ძალისხმევით ახალგაზრდებს ხარისხიანი განათლების მიღებასა და საკუთარი თემების განვითარებაში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს.

ვიზიტის დასასრულს, რექტორმა გაეროს მუდმივ კოორდინატორს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

მადლობას ვუხდით გაეროს წარმომადგენლობას მუდმივი მხარდაჭერისთვის.

გაეროს წარმომადგენელი უნივერსიტეტში

● **27 აპრილს,** გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სამშვიდობო სწავლების ცენტრის გახსნის ოფიციალური ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზურმა ცენტრმა – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“.**

ღონისძიებაზე აფხაზური ცენტრის წევრმა სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები მშვიდობის მშენებლობასთან დაკავშირებულ ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა კონფლიქტების ტრანსფორმაციის თანამედროვე მიდგომები, დიალოგისა და მედიაციის მნიშვნელობა, ახალგაზრდების როლი სამშვიდობო პროცესებში და რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივები.

დასასრულს მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ახალგაზრდული სამშვიდობო ინიციატივების გაძლიერება, უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის გაფართოება და სათემო პლატფორმების განვითარება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოებებს შორის დიალოგის გაღრმავებასა და ნდობის აღდგენის პროცესს.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ვოლსკი, ორგანიზაცია **„ქართველთა და აფხაზთა ერთობის საზოგადოება – ერთობა ხვალისთვის“** თავმჯდომარე **გიორგი შერვაშიძე** და ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის წევრი **შორენა ახალაია.** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღონისძიებაში მონაწილეობდნენ რექტორის მოადგილე, პროფესორი **მაკა ბერიძე** და მეცნიერებისა და სადოქტორო პროგრამების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი **მერაბ ბერიძე.**

მასპინძელთა მხრიდან სტუმრებს მიესალმნენ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ალექსანდრე მღებრიშვილი** და რექტორის მოადგილე **ზურაბ ზურაბაშვილი.**

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე **მიხეილ ფავლენიშვილი,** მოადგილე **თამაზ ბესტაევი** და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშვიდობო სწავლების ცენტრის წევრები.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

გამოუთქმელი, მაგრამ ცოცხალი

ზოგჯერ სიტყვები არაა საჭირო. ყველაფერი, რაც გინდა თქვა, უკვე გულშია, თვალებში, ყველა ამოსუნთქვაში. სწორედ ასეთია ქართულ-აფხაზური ურთიერთობა – ჩუმი, ხშირად გაუთქმელი, მაგრამ ცოცხალი. წლები შეიძლება ჩუმად გავიდეს, წლები, როდესაც თითქოს არაფერი ხდება, არაფერი იცვლება, ყველაფერი დუმილის ფარდის უკანაა... მაგრამ, საკმარისია ერთი შეხვედრა, ერთი სიტყვა გულიდან, ერთი მზერა, რომ ყველაფერი კვლავ გაიღვიძებს. იმედი, რომელსაც ასე ნელა, წვალებით გაჰქონდა თავი, ისევ გრძნობებში იღვენთება.

ეს სიჩუმე არ არის დამთავრებული ისტორია. ეს სიჩუმე არის გზა, რომელიც გვასწავლის მოსმენას, შეგრძნებას, ერთმანეთისთვის დათმობას. ეს სიჩუმე გვიყვება, რომ დიალოგი არ იწყება ხმამაღალი სიტყვებით, დიალოგი იწყება უბრალო სურვილით, გვესმოდეს, გვიყვარდეს, არ ვიჩქაროთ შეფასება, არ ვეძებოთ მხოლოდ განსხვავებები, ვიპოვოთ ის, რაც გვაერთიანებს.

წლები გავიდა, მაგრამ არის რაღაც, რაც არ დამთავრებულა. ეს არის შეგრძნება, რომ ერთმანეთის გარეშე ისტორია არასრულია, რომ რაც უნდა ბევრი ითქვას კონფლიქტზე, დაშორებასა და გაყოფაზე, არსებობს უხილავი ძაფი, რომელიც მაინც გვაკავშირებს. ზოგჯერ ეს ძაფი იბურდება, ხანდახან თითქოს იკარგება კიდეც, მაგრამ საკმარისია ერთი გულწრფელი საუბარი და ისევ იგრძნობა, რომ ეს კავშირი არსად წასულა. ის უბრალოდ ჩუმად არსებობდა.

ჩვენი ყველაზე დიდი გამოწვევა ის კი არ არის, რომ არ ვიცით, რა უნდა ვთქვათ, არამედ ის, რომ დიდი ხნის განმავლობაში არ ვამბობდით. სიჩუმე კი ნელ-ნელა გვაშორებდა ერთმანეთს. თუმცა, სიჩუმე არ არის დასასრული; ის არის პაუზა, რომელიც კომუნიკაციად უნდა იქცეს.

ჩვენ ვართ თაობა, რომელსაც შეუძლია ეს სიჩუმე დაარღვიოს არა ხმაურით, არამედ აზრით, თანაგრძნობითა და პასუხისმგებლობით. თაობა, რომელიც არ გაურბის რთულ თემებს, არამედ მათთან დიალოგს იწყებს. და შესაძლოა, სწორედ აქ იწყება ყველაზე მნიშვნელოვანი, როდესაც გაუთქმელი ნელ-ნელა სიტყვებად იქცევა, სიტყვები – ნდობად, ნდობა კი იმ მომავალად, რომელიც ერთიანობაზეა დამყარებული.

ხანდახან მგონია, რომ ჩემი გრძნობები სიტყვებს აღემატება, რაღაცები ისეთი ძლიერია, ვერავის ვეტყვი, ვერსად ჩავწერ. ხანდახან მგონია, რომ მთელი ცხოვრება უსიტყვო დიალოგია – თვალებსა და შეხებაში, გულის ძგერასა და ღრმად ჩასუნთქვაში... ხანადახან მგონია, რომ ადამიანებმა არ იციან, რაოდენ ახლოს არიან ერთმანეთთან. რატომ? იცით, ხშირად ძალიან ვჩქარობთ, ვიკეტებით საკუთარ შიშებსა და ტკივილებში. სინამდვილეში მხოლოდ ერთი გულწრფელი ჩახუტებაა საჭირო და ყველა ჩრდილი გამოაჩენს სინათლის გზას.

გამოუთქმელი გრძნობა ენგურს აქეთ და ენგურს იქით მცხოვრებ ადამიანებს შორის ყველაზე ცოცხალია! ის არ კვდება, ის ელოდება იმას, ვინც გაბედავს გულის გაღებას, შიშზე გამარჯვებასა და ჩახუტებას. ჩვენ გვჭირდება ერთმანეთი! ჩვენ გვჭირდება ერთობა!

სიცოცხლე ძალიან მიყვარს, მიყვარს მისი სამართალი. ჰოდა, ჩემი წილი სამართალია – ჩავეხუტოთ ერთმანეთს... ამ ღამითაც დავიძინებ იმედებითა და სიყვარულით სავსე. არცერთხელ დავიღლები ლოდინით. გათენდება ყველაზე მზიანი და მშვენიერი დილა. დამთავრდება ჭირვეული დუმილი. ეს მხოლოდ დროებით შეწყვეტილი დიალოგია. შეხვედრამდე...

რიმა სუდაძე
ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი

ტრადიცია და ინოვაცია: რატომ უნდა გახდეთ სჯსუ-ს სტუდენტი

მერაბ ბერიძე
ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო, ქართველური ენათმეცნიერების სამაგისტრო და ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა – ამ პროგრამით დაიწყო არსებობა დღევანდელმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 35 წლის წინათ. 1990 წელს, როდესაც გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში, დღევანდელი ფილოლოგიის პროგრამის ნაცვლად იყო ფილოლოგიის ფაკულტეტი. მაშინ ბევრი ფილიალი გაიხსნა და თითოეული მათგანის პროფილი განისაზღვრა დეფიციტური სპეციალობებით. ფილოლოგობა ყოველთვის პირველ რიგში ნიშნავდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლობას, პოეტობას, მწერლობას, განათლებულ ჟურნალისტობას, ენათმეცნიერობას, ლიტერატურათმცოდნეობას, სალიტერატურო ენაზე მეტყველებას, კულტურულ საზოგადოებაში ნარმატებულობას, პოლიტიკაში ეროვნულ ლიდერობას, საკუთარ ქვეყანაზე ფიქრს, მომავალი თაობის თავისი ქვეყნის სიყვარულში წვრთნას, გარანტირებულ შემოსავალს და, უპირველესად, კარგ დედობას და მამობას.

... და ეს ყველაფერი არსად წასულა, არ დასრულებულა, ამ ყველაფერს არც არაფერი ჩანაცვლებია და ვერც ვერაფერი ჩაენაცვლება ვერასოდეს. ფილოლოგები იყვნენ ყოველთვის და იქნებიან ლიდერები, მომავალზე ორიენტირებული ახალგაზრდები, რომელთა ცხოვრების კრედო განათლებულებასთან ერთად სულიერებაა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ფილოლოგების უმრავლესობა თავისი ქვეყნის წარმატებული მოქალაქეები არიან, რომლებმაც გაუძლეს დროის გამოცდას, არ დასჭირდათ სამშობლოს მიტოვება და ემიგრაციაში წასვლა.

მესხი სწავლითა ქებული

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ოთხწლიანი სწავლების ფორმატით ხორციელდება, სტუდენტს ანიჭებს ხარისხს – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში. ბაკალავრის ხარისხის მიღების შემდეგ მას აქვს ფართო სპექტრი დასაქმებისა და, რაც მთავარია, ნებისმიერი ჰუმანიტარული მიმართულების კონკურსში გამარჯვებისა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლების მეოთხე წელს სტუდენტი გადის მასწავლებლის მომზადების პროგრამას, რეალურად იძენს მეორე პროფესიას, რითიც მოიპოვებს სკოლაში მუშაობის უფლებას.

ბაკალავრიატით არ მთავრდება ფილოლოგთა განათლება. წარჩინებულ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ, ჯერ კიდევ დიპლომის აღებამდე, მე-4 კურსის ბოლო სემესტრში დარეგისტრირდნენ და ჩააბარონ სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ანიჭებს **ენათმეცნიერების მაგისტრის ხარისხს** და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამაზე. ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ღებულობს სტუდენტი **ქართული ლიტერატურის მაგისტრის ხარისხს.**

სამაგისტრო პროგრამა ორი სახისაა: ერთწლიანი და ორწლიანი. ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ, კურსდამთავრებულს ეხსნება განსაკუთრებული წარმატების გზა სპეციალობაში, ხოლო ორწლიანი მაგისტრატურის შემდეგ შეუძლია, გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში, რაც სახავს უდიდეს წარმატებას მეცნიერებაში.

არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ბევრ უნივერსიტეტში არ არის სამსაფეხურიანი განათლება ფილოლგიაში. ჩვენს უნივერსიტეტში მოქმედებს მესამე საფეხურზე **ქართული ფილოლოგიის სადოქტორო** პროგრამა, რომლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის სადოქტორო საბჭო ანიჭებს დოქტორანტს **ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.** ფილოლოგიის დოქტორობა კი უკვე ნიშნავს, სკოლის პედაგოგობის შემთხვევაში, სოლიდურ სხვაობას ხელფასში, პერსპექტივას – იმოღვაწეოს უნივერსიტეტში, აღზარდოს მომავალი ფილოლოგები, იყოს უნივერსიტეტის პროფესორი, მიიღოს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში შესაბამისი დაფინანსებით და ხელშეწყობით, იკვლიოს ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემები, გამოსცეს სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სხვა ტიპის კრებულები.

თანამედროვე ფილოლოგი, წიგნთან ერთად, არის წილნაყარი კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. დიგიტარულ მეცნიერებასთან ზიარების საფუძველზე ახალი მეთოდოლოგიით იკვლევს ენას და მისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი ტექსტი, რომელიც კი შექმნილია მსოფლიოში. საამისოდ არსად წასვლა არ არის საჭირო, მშობლიური საუნივერსიტეტო სივრცე იძლევა ამის საშუალებას, ხოლო თუ რომელიმე პრობლემა სხვაგვარად არის დასანახი და შესაცნობი, ამაში გაცვლითი პროგრამები დაეხმარება მას.

მესხი სწავლითა ქებულიო – ასე იყო და ასე იქნება მუდამ. სამცხე-ჯავახეთი ელოდება მესხებს და ჯავახებს, ელოდება ახალგაზრდებს დანარჩენი საქართველოდან. გისურვებთ წარმატებებს.

ისტორია, როგორც პროფესია: კვლევა, პრაქტიკა და თანამედროვე შესაძლებლობები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ნიკოლოზ ახალკაცი
ისტორიის საბაკალავრო და საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი

დღეს ისტორია აღარ განიხილება მხოლოდ როგორც თარიღებისა და მოვლენების მექანიკური დამახსოვრება. თანამედროვე აკადემიურ სივრცეში იგი წარმოადგენს კომპლექსურ დისციპლინას, რომელიც აერთიანებს კვლევას, ანალიზს, ინტერპრეტაციას და კულტურული მემკვიდრეობის მართვას. სწორედ ამ ახალი ხედვის შესაბამისად ვითარდება ისტორიის სწავლება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, წარსულის შესწავლა აქციონ თანამედროვე და მრავალმხრივ პროფესიად.

უნივერსიტეტის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა სრულად არის მორგებული თანამედროვე მოთხოვნებს და მიზნად ისახავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ სტუდენტების კვლევით და პრაქტიკულ უნარ-ჩვევათა განვითარებას. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის პროგრამა ეფუძნება სამსაფეხურიან განათლებას – საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებს, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ აკადემიურ განვითარებას.

პროგრამის მთავარი აქცენტებია:

ისტორიის სწავლება ქრონოლოგიური და რეგიონული პრინციპით; საქართველოს ისტორიის გაღრმავებული და დარგობრივი შესწავლა (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ისტორია); თანამედროვე კვლევითი მეთოდების დანერგვა; ისტორიული წყაროების კრიტიკული ანალიზი და ინტერპრეტაცია; სტუდენტებში კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური უნარების განვითარება.

პროგრამა ორიენტირებულია იმაზე, რომ სტუდენტი ჩამოყალიბდეს როგორც მკვლევარი, რომელსაც შეუძლია ისტორიული პროცესების არა მხოლოდ აღწერა, არამედ მათი ახსნა და გააზრება თანამედროვე კონტექსტში. ისტორიის სწავლება უნივერსიტეტში არ შემოიფარგლება აუდიტორიული ლექციებით. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თეორიული ცოდნა რეალურ გარემოში გამოსცადონ.

პრაქტიკული სწავლება მოიცავს:

არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობას; ისტორიული ძეგლების ადგილზე შესწავლას; საველე კვლევების ჩატარებას; ისტორიული მასალების დამოუკიდებელ დამუშავებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტების მონაწილეობა ქართულ-უცხოურ ერთობლივ არქეოლოგიურ პროექტებში, რაც მათ აძლევს საერთაშორისო გამოცდილებას უკვე სწავლის პროცესში.

პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკულ უნარებს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა:

გაიარონ სტაჟირება მუზეუმებში; დაეუფლონ ექსპოზიციის დაგეგმვასა და მართვას; იმუშაონ საარქივო დოკუმენტებთან; შეისწავლონ ისტორიული წყაროების კლასიფიკაცია და ანალიზი; ჩაერთონ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პროექტებში.

ეს გამოცდილება სტუდენტებს ამზადებს არა მხოლოდ აკადემიური კარიერისთვის, არამედ პრაქტიკული პროფესიული საქმიანობისთვისაც.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, მათ შორის Erasmus+-ის ფარგლებში.

გაცვლითი პროგრამები სტუდენტებს აძლევს საშუალებას:

სწავლა გააგრძელონ ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებში; გაეცნონ უცხოურ აკადემიურ გამოცდილებას; იმუშაონ საერთაშორისო კვლევით პროექტებზე; გააუმჯობესონ უცხო ენების ცოდნა; ჩამოაყალიბონ პროფესიული საერთაშორისო ქსელები.

საერთაშორისო გამოცდილება მნიშვნელოვნად ზრდის სტუდენტების კონკურენტუნარიანობას. ისტორიის სპეციალობის კურსდამთავრებულთა დასაქმების არეალი საკმაოდ ფართოა და არ შემოიფარგლება მხოლოდ სკოლებში მასწავლებლობით.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით საქმიანობენ:

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში; მუზეუმებსა და კულტურული მემკვიდრეობის დაწესებულებებში; არქივებსა და ბიბლიოთეკებში; ტურისტულ სექტორში (გიდები, კონსულტანტები, მენეჯერები); საჯარო სექტორსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში; მედიასა და საგანმანათლებლო პროექტებში; უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ისტორიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურიზმის განვითარებაში, ადგილობრივი ისტორიის პოპულარიზაციასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის სწავლება წარმოადგენს თანამედროვე, პრაქტიკაზე ორიენტირებულ და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებულ პროცესს. ეს არის სივრცე, სადაც სტუდენტები არა მხოლოდ სწავლობენ წარსულს, არამედ სწავლობენ მის გააზრებას, ინტერპრეტაციას და გამოყენებას თანამედროვე სამყაროში. ისტორიის პროგრამა ქმნის იმ საფუძველს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტი შეიძლება გადაიქცეს მკვლევრად, მასწავლებლად, კულტურული მემკვიდრეობის დამცველად ან საზოგადოებრივ აქტორად. დღეს ისტორია ნამდვილად აღარ არის მხოლოდ წარსულის აღწერა – ის არის მომავლის გააზრების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი.

ტრადიცია და ინოვაცია: რატომ უნდა გახდეთ სჯსუ-ს სტუდენტი

ვეტერინარია იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ ცხოველთა მკურნალობა – ეს არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სურსათის უსაფრთხოების ფუნდამენტი; აღნიშნულის დასტურია ისიც, რომ არასდროს უნდა დაგვავიწყდეს: „ექიმი კურნავს ადამიანს და ვეტერინარია – კაცობრიობას“.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც მზად იქნებიან რეგიონული თუ გლობალური გამოწვევებისთვის.

თანამედროვე აბიტურიენტები განსაკუთრებული ცოდნითა და მრავალმხრივი დადებითი განვითარებით გამოირჩევიან, ისინი აქტიურად ეცნობიან მათთვის საინტერესო პროგრამებს და სწავლების სპეციფიკას უცხოეთის ისეთ წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლებას ახორციელებენ ვეტერინარიის მიმართულებით, ხოლო საინტერესო პროგრამის მოძიების შემდეგ ცდილობენ, მსგავსი ანალოგები მოიძიონ ჩვენს ქვეყანაში და არჩევანიც იმ უნივერსიტეტზე გააკეთონ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის შედგენისას ჩვენ გავითვალისწინეთ უცხოეთის წამყვანი ვეტერინარული დაწესებულებების სწავლების სისტემა და საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილება, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოვახდინოთ მათი პროგრამების კოპირება, რა თქმა უნდა, არა. ჩვენი მიზანია არა მარტო სწავლების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, არამედ ქვეყნის ინტერესების, რეგიონში არსებული პრობლემებისა და, რა თქმა უნდა, მეცხოველეობის გაძღოლის სისტემისა და სამხარეო პათოლოგიის სპეციფიკის გათვალისწინება. ასევე მნიშვნელოვანია ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემუშავებული ვეტერინარიის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების გათვალისწინება, რომლის მიხედვით 75%-ის შემთხვევაში სწავლება ქვეყნის მასშტაბით ერთიანი მიდგომით უნდა ხორციელდებოდეს, ხოლო 25%-ის შემთხვევაში უნივერსიტეტებს უფლება ეძლევათ, პროგრამები ვეტერინარიის მიმართულებით გახადონ ინოვაციური, საინტერესო და მიმზიდველი ისეთი სასწავლო კურსების ჩართულობით, რომელიც წარმატებულს გახდის სწავლების პროცესს და სამომავლო საიმედო პერსპექტივას. სწორედ აღნიშნულს უკავშირდება პროგრამაში ისეთი ახალი სასწავლო კურსების ჩართულობა, როგორიცაა პროფესიული კარიერის განვითარება და რისკები, სენიორ პროექტი, პროფესიული ეთიკა, ცხოველთა ჰიგიენა და კეთილდღეობა, ეგზოტიკური ცხოველების მოშენება, ეგზოტიკური ცხოველების დაავადებები, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და მართვა და სხვა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამა, სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად მოიცავს არჩევითი სასწავლო კურსების ჩარჩოს ვეტერინარიის არჩევითი, მეცხოველეობის არჩევითი და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსების სახით. მათში წარმოდგენილია სტუდენტისთვის საინტერესო სასწავლო კურსები და მას შესაძლებლობა ეძლევა, თავისი შეხედულებითა და სამომავლო დასაქმების გათვალისწინებით, აირჩიოს მისთვის საინტერესო სასწავლო საგანი, მაგალითად – თევზის, ფუტკრის, სხვადასხვა ცხოველის, მათ შორის, შინაური ბინადარისა და ეგზოტიკური ცხოველების მოშენების ტექნოლოგია, მათ შესახებ დაავადებების სწავლების საკითხები და სხვა.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს, საბაზისო სასწავლო კურსებს, საბაზისო დარგობრივ სასწავლო კურსებს, პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო კურსებს, ცხოველური სურსათის ჰიგიენის, ტექნოლოგიისა და კონტროლის სასწავლო კურსებს, ცხოველთა მოშენებისა და გენეტიკის სასწავლო კურსებს და სპეციალობის დარგობრივ პრაქტიკას. სტუდენტი სწავლის პროცესში ითვისებს როგორც შინაური ბინადარის და ეგზოტიკური ცხოველების, ასევე, სასოფლო სამეურნეო ცხოველების ფიზიოლოგიის, მოშენების, მათი დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდებს. კრედიტების ათვისების შემდეგ სტუდენტს ენიჭება ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლებაში დაინერგა სტუდენტის ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) გამოცდის ჩატარების წესი, რომელიც საშუალებას იძლევა, თანამედროვე სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, აუდიტორიულ გარემოში შევქმნათ ვირტუალური სასწავლო გარემო. ასეთი წესი შესაძლებლობას იძლევა, სწავლების პირველივე კურსიდან სტუდენტებში განვავითაროთ საექიმო/კლინიკური აზროვნება.

სტუდენტი, ადრეული კურსებიდანვე ეჩვევა საკუთარი თავის ექიმის როლში ყოფნას და პროფესიულ პასუხისმგებლობას.

სწავლების პროცესში სტუდენტი განყენებულ ვეტერინარულ საქმიანობას კი არ სწავლობს, არამედ კონკრეტული პაციენტის ისტორიის პრობლემას, მისი გადაჭრის გზებსა და მეთოდებს. ამ გზით შეძენილი გამოცდილებით სტუდენტს თამამად შეუძლია, შეაბიჯოს რეალურ საექიმო პრაქტიკაში. ფაქტობრივად, ეს არის თანამედროვე სავეტერინარო განათლების გამოწვევა. ამასთანავე სტუდენტს საშუალება ეძლევა, მესამე კურსიდან, ცოცხალ ცხოველებზე აწარმოოს დაკვირვება და გაიუმჯობესოს აუდიტორული სწავლების დროს შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც ძირითადად ხორციელდება ვეტერინარული კლინიკის ბაზაზე.

პროგრამაზე სწავლების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ უნივერსიტეტის გარეთ დაგეგმილი სპეციალობის (დარგობრივი) პრაქტიკის განხორციელებას, სადაც ვეტერინარი სტუდენტი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ახორციელებს სხვადასხვა სახის ქირურგიულ და გინეკოლოგიურ მანიპულაციებს, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ღონისძიებებს, მონაწილეობას ღებულობს დაგეგმილი ვაქცინაციის ჩატარების პროსეცებში. მთლიანობაში, სპეციალობის პრაქტიკა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს სტუდენტის მიერ ათვისებული თეორიული ცოდნისა და აუდიტორიულ პირობებში ათვისებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების საწარმოო პირობებში განმტკიცების კუთხით.

აბიტურიენტმა, რომელიც გადაწყვეტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის მიმართულებით სწავლის გაგრძელებას, უნდა იცოდეს, რომ მას საშუალება ეძლევა, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ცოდნა გაიუმჯობესოს უცხოეთის პრესტიჟულ ვეტერინარულ ფაკულტეტებზე, გახდეს სხვადასხვა სახელობითი სტიპენდიის მფლობელი, ჩაერთოს საგრანტო პროექტებში, მონაწილეობა მიიღოს და თავისი შესაძლებლობები წარმოაჩინოს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში; ასევე, მან უნდა იცოდეს, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელიც ახორციელებს ვეტერინარიის აკრედიტებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას.

სულ მალე, გაზაფხულიდან, განხორციელდება თანამედროვე სტანდარტებით დაპროექტებული ახალი კლინიკის მშენებლობა. სტუდენტებს ექნებათ საერთო საცხოვრებელი, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ, როგორც ვეტერინარ ექიმებს, ეძლევათ მრავალმხრივი საშუალება, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში უპრობლემოდ დასაქმების, კარიერის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელების.

ვირტუალური კლინიკიდან რეალურ პრაქტიკამდე

მომავლის ვეტერინარების მომზადება სამცხე-ჯავახეთში

ლევან მაკარაძე
ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



აგრონომია - პროფესია, რომელიც მართავს მომავალს

ზაირა ტყებუჩავა
აგრონომიის პროგრამის ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის დოქტორი, პროფესორი

დღეს აგრონომია აღარ არის მხოლოდ მიწასთან მუშაობა – ეს არის ინოვაციების, ციფრული ტექნოლოგიებისა და გლობალური გამოწვევების მართვის ხელოვნება. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გთავაზობთ პროგრამას, რომელიც სტუდენტებს ხვალინდელი დღის ლიდერებად აყალიბებს ამ დარგში.

გვინდა, თითოეულმა სტუდენტმა დაინახოს, რომ სოფლის მეურნეობა დღეს 21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური სფეროა. აგრონომიის პროგრამა ეფუძნება მდგრადობას, ინოვაციასა და პრაქტიკულ გამოცდილებას.

გვაქვს გაცვლითი პრაქტიკები და სტაჟირებები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა ნიშნავს, რომ თქვენ იქნებით პირველები, ვინც დანერგავს: კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობას; ზუსტ აგრონომიას; ხელოვნური ინტელექტის (AI) ელემენტებს მოსავლიანობის პროგნოზირებისა და მცენარეთა დიაგნოსტიკისთვის; რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს, რომლებიც იცავს გარემოს და ზოგავს ნიადაგის ნაყოფიერებას.

აგრონომიის სწავლება წარმოუდგენელია მინდვრისა და ლაბორატორიის გარეშე, სწორედ ამიტომ უნივერსიტეტში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ პრაქტიკულ კომპონენტს. ამჟამად მიმდინარეობს თანამედროვე სასათბურე მეურნეობის მოწყობა, სადაც სტუდენტები უშუალოდ ჩაერთვებიან: სათბურის მართვისა და მონტაჟის პროცესში, ბოსტნეული კულტურების ინტენსიურ წარმოებაში, ჰიდროპონიკის – მომავლის ტექნოლოგიის ათვისებაში.

სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას იღებენ საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე, სადაც სწავლობენ არა მხოლოდ იმას, თუ რა უნდა გაკეთდეს, არამედ იმასაც, თუ როგორ შესრულდეს ეს საქმე პროფესიონალურად.

თანამედროვე აგრონომია არის ცოდნის, ტექნოლოგიის და ბიზნესის შერწყმა. ჩვენ ვზრდით არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ აგრომენეჯერებს.

ჩვენი პროგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამცხე-ჯავახეთის უნიკალურ აგრარულ რეალობასთან. სტუდენტები სიღრმისეულად სწავლობენ რეგიონისთვის სტრატეგიულ კულტურებში – კარტოფილის, მარცვლეულის, მეხილეობის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი ლაბორატორიული ბაზა საშუალებას გაძლევთ, დაეუფლოთ: ფიტოპათოლოგიასა და მცენარეთა დაცვას; ნიადაგის ანალიზის თანამედროვე მეთოდებს; აგრარულ მარკეტინგსა და პროექტების მართვას.

პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის კარიერული გზა ფართოა. თქვენ გელოდებათ: სამთავრობო და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები; საერთაშორისო და ადგილობრივი აგრო-ბიზნეს კომპანიები; საკუთარი ფერმერული მეურნეობები და ინოვაციური სტარტაპები; საკონსულტაციო და საექსტენციო ფირმები.

დღეს მსოფლიო კლიმატის ცვლილებისა და რესურსების დეფიციტის წინაშე დგას. სწორედ ამიტომ აგრონომია არის პროფესია, რომელიც არასოდეს დაკარგავს აქტუალობას. ჩვენ ვამზადებთ ადამიანებს, რომლებიც შეძლებენ სამყაროს გამოკვებას ისე, რომ არ დააზიანონ ბუნება.

შემოუერთდით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის პროგრამას!

ტრადიცია და ინოვაცია: რატომ უნდა გახდეთ სჯსუ-ს სტუდენტი

B2+-დან გლობალურ კარიერამდე
რატომ უნდა აირჩიოთ სჯსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა

გულნარა ჯანოვა
ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი

დღეს, როდესაც უმაღლესი განათლების ხარისხი საერთაშორისო აკადემიური ინტეგრაციითა და სტუდენტთა მობილობით იზომება, განსაკუთრებით აქტუალურია იმ მეთოდოლოგიური სიახლეების განხილვა, რომლებსაც უნივერსიტეტი სთავაზობს მომავალ სპეციალისტებს.

საინტერესოა, როგორ პასუხობს სჯსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა საერთაშორისო სტანდარტებს, რა როლს ასრულებს ინტერნაციონალიზაციის პროცესში და როგორ უყალიბებს სტუდენტს იმ ტრანსფერულ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია 21-ე საუკუნის დინამიკური შრომის ბაზარზე წარმატებული რეალიზებისთვის.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 1994 წლიდან. ამ დროის განმავლობაში მრავალი წარმატებული კურსდამთავრებული აღიზარდა, რომლებიც დასაქმებულები არიან როგორც ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე უცხოურ კომპანიებსა და ორგანიზაციებში, სადაც ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია.

პროგრამა სტრუქტურირებულია მრავალკომპონენტიანად და მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, აირჩიონ ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინები, ძირითადი სასწავლო სფეროს სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე, მასწავლებლის მომზადების კომპონენტი. ასეთი სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლების ინდივიდუალურ გეგმას და სტუდენტთა ინტერესებისა და კარიერული მიზნების რეალიზაციას.

პროგრამა აკრედიტებულია 2025 წლის თებერვალში 7 წლის ვადით და უზრუნველყოფს ინგლისური ენის ცოდნას მინიმუმ B2+ დონეზე, რაც შეესაბამება CEFR სტანდარტებს. გარდა ენის, სტუდენტები ეცნობიან ინგლისური ლიტერატურის ისტორიას, კლასიკურ და თანამედროვე ავტორებს, აგრეთვე იღებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ფილოლოგიასა და პედაგოგიკაში.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა მნიშვნელოვან სტრატეგიულ როლს ასრულებს რეგიონის საგანმანათლებლო და კულტურულ განვითარებაში. მისი მიზნები სრულად შეესაბამება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას, რომელიც სწავლებისა და კვლევის გზით საზოგადოების განვითარებას და რეგიონის პრიორიტეტების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს და მოიაზრება, როგორც ხიდი ადგილობრივსა და გლობალურ სივრცეს შორის. პროგრამა ამზადებს გლობალურად მოაზროვნე, კომუნიკაბელურ და კულტურულად მგრძნობიარე სპეციალისტებს, რომლებიც წარმატებით მოქმედებენ საერთაშორისო გარემოში. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ენის სწავლებით – აერთიანებს კულტურების გაცნობას, ეფექტურ კომუნიკაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობის უნარების განვითარებას.

ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე მნიშვნელოვან მიმართულებაზე. პირველ რიგში, ეს არის გლობალური კომუნიკაციის გაძლიერება – სტუდენტები სწავლობენ თავისუფლად ურთიერთობას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან და აქტიურად ერთვებიან საერთაშორისო აკადემიურსა და პროფესიულ სივრცეში.

მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარებაც, რაც სტუდენტებს ეხმარება, უკეთ გაიგონ სხვადასხვა კულტურა, პატივი სცენ მრავალფეროვნებას და ეფექტურად ითანამშრომლონ მრავალკულტურულ გარემოში.

პროგრამა ასევე ხელს უწყობს აკადემიურ მობილობასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ და მიიღონ გამოცდილება უცხოეთში, მათ შორის, საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში, როგორიცაა Erasmus+-ის პროგრამა. გარდა ამისა, ინგლისური ენის ლიურად პროგრამა მასპინძლობს ინგლისური ენის მოწვეულ პედაგოგებს და ინგლისური ენის სწავლების ასისტენტებს, რაც სწავლების პროცესს კიდევ უფრო დინამიკურსა და ეფექტურს ხდის.

სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, ჰქონდეთ ცოცხალი კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათი პრაქტიკული უნარების განვითარებასა და ენობრივი ბარიერების დაძლევას. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ლექტორებთან ურთიერთობა, ასევე, აძლიერებს სტუდენტების კულტურათაშორის კომპეტენციას და ეხმარება მათ, უკეთ გაიგონ ენის გამოყენების ბუნებრივი, ავთენტური ფორმები. ეს გამოცდილება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტების პროფესიულ მზადყოფნაში და განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის პირობებში.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის კურსდამთავრებულებს პროფესიული რეალიზაციის ფართო შესაძლებლობები აქვთ. მათი კარიერული გზა მხოლოდ პედაგოგიური საქმიანობით არ შემოიფარგლება. ისინი აქტიურად არიან წარმოდგენილნი მედიის სფეროში, სასტუმრო ბიზნესში, ტურისტულ სააგენტოებში და მუზეუმებში, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტური კომუნიკაცია უცხოელ ვიზიტორებთან. მრავალმხრივი ენობრივი და ანალიტიკური უნარების წყალობით, ისინი საქმდებიან უცხოურ და ადგილობრივ კომპანიებში, სადაც ინგლისური ენის ცოდნა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა.

აბიტურიენტებისთვის სჯსუ-ს ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა გამორჩეულია მაღალი აკადემიური სტანდარტით, ინოვაციური სასწავლო მეთოდებით – აქტიური ლექციები, ვორქშოპები, პროექტები და სხვადასხვა პლატფორმა, რაც აძლიერებს პრაქტიკულ უნარებს. პროგრამა აერთიანებს ენას, ლიტერატურას, ლინგვისტიკასა და თანამედროვე კომუნიკაციას, რაც სტუდენტებს მრავალმხრივ კომპეტენციას აძლევს. Native Speakers-ის ჩართულობა კიდევ უფრო აძლიერებს კომუნიკაციურ უნარებს, კულტურათაშორის კომპეტენციას და პროფესიულ მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინგლისური ფილოლოგიის პროგრამა, როგორც განათლების, ისე კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერნაციონალიზაციას და აძლევს მათ უნიკალურ კონკურენტულ უპირატესობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა: განათლება მდგრადი მომავლისთვის

რევაზ ზედგინიძე
ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

თანამედროვე მსოფლიოში გარემოსდაცვითი პრობლემები – კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების შემცირება, გარემოს დაბინძურება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას კაცობრიობისათვის. აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინისა და პროფესიული მიმართულების განვითარება.

ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ბუნებრივი სისტემების შესწავლას, გარემოს დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებასა და მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას.

ეკოლოგიის სწავლება მოიცავს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გააზრებას, როგორიცაა: **ბუნებრივი სისტემების ფუნქციონირება** – ეკოსისტემების სტრუქტურა და დინამიკა; **ბიომრავალფეროვნების დაცვა** – ცოცხალი ორგანიზმების მრავალფეროვნების მნიშვნელობა; **გარემოს დაბინძურება და მისი პრევენცია** – ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაცვა; **კლიმატის ცვლილება** – მისი მიზეზები, შედეგები და მართვის გზები; **კვლევითი უნარები** – მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და გარემოს მონიტორინგი.

პროგრამა აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას არა მხოლოდ გაიგოს პრობლემები, არამედ იპოვოს მათი გადაჭრის გზებიც. სტუდენტები სასწავლო პრაქტიკას გადიან ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში, სადაც გაეცნობიან ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მეთოდებს, როგორიცაა ფოტოხაფანგები, ცხოველთა ნაკვალევის იდენტიფიცირება და სხვა.

ეკოლოგიის არჩევა არ არის მხოლოდ პროფესიის არჩევა. ეკოლოგები დღეს მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სპეციალისტები არიან, რადგან გარემოს პრობლემები ყოველდღიურად იზრდება.

პროგრამა იძლევა **მრავალფეროვან კარიერულ შესაძლებლობებს.**

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: გარემოსდაცვით ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო პროექტებში, სამეცნიერო კვლევებში.

სტუდენტს ელოდება პრაქტიკული და საინტერესო საქმიანობა ექსპედიციებში, ლაბორატორიულ კვლევებში, ასევე, ბუნებაში მუშაობა.

სტუდენტისთვის შესაძლებელია, პირადად მიიღოს მონაწილეობა ბუნების შენარჩუნებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.

აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარება და „მწვანე ეკონომიკა“ სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც ეკოლოგიის სპეციალისტებზე მოთხოვნას ზრდის.

ეკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აძლევს სტუდენტს ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებიც აუცილებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გონივრული მართვისთვის.

ეს არის არჩევანი მათთვის, ვისაც სურს: იყოს თანამედროვე გამოწვევების ნაწილი, იმუშაოს ბუნებასთან და ადამიანებთან, შექმნას უკეთესი და უფრო მდგრადი მომავალი.

ტრადიცია და ინოვაცია: რატომ უნდა გახდეთ სჯსუ-ს სტუდენტი

მართე მომავალი ციფრული ტექნოლოგიებით

ლერი ნოზაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი

ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლება სცილდება მხოლოდ კოდის წერის ტექნიკურ უნარებს – ეს არის კომპლექსური აკადემიური დისციპლინა, რომელიც მათემატიკურ ლოგიკასა და ალგორითმულ აზროვნებას ეფუძნება.

როგორ პასუხობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის IT პროგრამა თანამედროვე სამეცნიერო სტანდარტებს და რამდენად ახერხებს კურიკულუმი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოწვევების სინთეზს? ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის ხელმძღვანელი განიხილავს სწავლების მეთოდოლოგიას, აკადემიურ რესურსებსა და იმ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებითაც სჯსუ მომავალ სპეციალისტებს ამზადებს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში დიდი ხნის განმავლობაში ხორციელდებოდა და რამდენიმე თვის წინ განახლებულ და აკრედიტირებულ პროგრამას ახლაც ვანხორციელებთ, სტუდენტებს აძლევს მაღალი ხარისხის, თანამედროვე და კონკურენტუნარიან ცოდნას ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების (ICTs) სფეროში შრომის ბაზრის აქტუალური მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს ურთიერთდაკავშირებული სფეროებისთვის, რომელიც მოიცავს: კომპიუტერულ სისტემებს, პროგრამულ უზრუნველყოფას, პროგრამირების ენებს, პროფესიული ეთიკური ნორმების დაცვით მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხო დამუშავებას და შენახვას, IT ინოვაციებს, პლატფორმაზე დაფუძნებულ ტექნოლოგიებს, სისტემის პარადიგმებს, ვებ და მობილურ აპლიკაციებს.

ჩვენი პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გამოთვლითი პროდუქტებისა და სერვისების დამოუკიდებლად შერჩევა, მათი მუშა მდგომარეობაში მხარდაჭერა და მართვა ორგანიზაციათა მოთხოვნების შესამაბისად. ამ მიზნების მისაღწევად სტუდენტები ღებულობენ ICTs-ის ფუნდამენტურ ცოდნას ალგორითმების საფუძვლების, კომპიუტერის არქიტექტურის, ორგანიზაციის, გრაფიკისა და ინტერაქტიული ტექნიკის, დაპროგრამების ენების საფუძვლების, მათემატიკური და სტატისტიკური საფუძვლების, მონაცემთა მართვის, ოპერაციული სისტემების, პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების საფუძვლების, ვებ და მობილური სისტემების, ქსელების კომუნიკაციების, უსაფრთხოების, ხელოვნური ინტელექტისა და სხვა დარგებიდან.

სტუდენტები იძენენ პრაქტიკულ უნარებს რეალურ სამყაროში ფენომენების მოდელირებასა და მონაცემებით გამოთვლაში მათემატიკის თეორიული ცოდნის, შეძენილი ლოგიკური, ანალიზური და აბსტრაქტული აზროვნების საფუძველზე; ახდენენ გრაფიკული ობიექტების ციფრულ დამუშავებას, იყენებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო, აუდიო, ანიმაცია, რენდერი) ეფექტური მართვისათვის. შეუძლიათ ვებ და მობილური აპლიკაციების, ინტერაქტიული ვებ-გვერდების შექმნა და მართვა, აპლიკაციების ტესტირება და Google Play Store-ზე განთავსება, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში.

რაც შეეხება სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ჩართვას, როგორც ცნობილია, ჩვენ უკვე სამი საერთაშორისო კონფერენცია ჩავატარეთ სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ჩვენი უნივერსიტეტის (და არა მარტო ინფორმატიკოსი სტუდენტების) დიდი უმრავლესობის აქტიური ჩართულობით, აქედან გამომდინარე, დარწმუნებულები ვართ, მომავალ წლებშიც მოგვეცემა ამის შესაძლებლობა, პროგრამის სხვა სფეროებთან კვეთაში (IT-ის გამოყენება ისტორიაში, ფილოლოგიაში, აგრონომიასა თუ ეკონომიკაში, რაც სჯსუ-ის, როგორც მრავალპროფილიანი უნივერსიტეტისთვის, საინტერესო შეიძლება იყოს), ურთიერთთანამშრომლობა საინტერესო და კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება.

აბიტურიენტებო, თქვენ ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე დგახართ. შეგიძლიათ, აიჩიოთ პროფესია, რომელიც არა მხოლოდ თქვენს მომავალს, არამედ სამყაროს განვითარებას განსაზღვრავს.

ინფორმაციული ტექნოლოგიები დღეს აღარ არის მხოლოდ „კომპიუტერთან მუშაობა“. ეს არის შესაძლებლობა – შექმნა ის, რაც გუშინ შეუძლებელი ჩანდა!

რატომ უნდა გახდეთ ჩვენი სტუდენტი? ჩვენთან თეორია თავიდანვე პრაქტიკაში გადადის – იქნება ეს მობილური აპლიკაციის აწყობა, მონაცემთა ბაზების მართვა თუ ხელოვნური ინტელექტის პირველი ნაბიჯები.

ჩვენი საერთაშორისო კონფერენციები და კვლევითი პროექტები გაგიხსნით გზას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისკენ.

თქვენ გახდებით უნივერსალური სპეციალისტები: სჯსუ-ს გარემო გაძლევს შანსს, IT გამოიყენო ისეთ სფეროებში, როგორიცაა ეკონომიკა, აგრონომია, ფილოლოგია თუ ისტორია, რაც დღეს შრომის ბაზარზე უიშვიათესი და ძვირადღირებული უნარია.

მშვიდობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი

12 მარტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დღე აღმოჩნდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც საკუთარ მომავალს მხოლოდ პირად წარმატებაში კი არა, არამედ საზოგადოების კეთილდღეობაში, დიალოგსა და მშვიდობიან თანაცხოვრებაში ხედავენ. სწორედ ამ დღეს გაიმართა აფხაზური ცენტრის **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** მიერ განხორციელებული პროექტის – **„ახალგაზრდული სამშვიდობო კონცეფცია თანაცხოვრების კულტურის განმტკიცებისთვის“** დასკვნითი ღონისძიება.

ღონისძიებას უმასპინძლა პატარკაციშვილის სასახლემ, სადაც იდეები, ისტორია და მომავლის იმედი ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის. პროექტი განხორციელდა ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით. მისი მთავარი მიზანი იყო ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში, იმ რთულ და მგრძნობიარე სივრცეში, სადაც დიალოგი, ნდობა და ურთიერთგაგება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პროექტი ემსახურებოდა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ ახალგაზრდებში იმ ღირებულებების გაძლიერებას, რომლებიც მშვიდობიან თანაცხოვრებას უდევს საფუძვლად.

სწავლის პროცესიდან პასუხისმგებლობის გააზრებამდე

პროექტში მონაწილეობდა 45 სტუდენტი, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში, განიხილავდნენ კონფლიქტის ტრანსფორმაციის თანამედროვე მიდგომებს, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიულ და პოლიტიკურ კონტექსტს, ასევე, საერთაშორისო გამოცდილებას მშვიდობის მშენებლობის სფეროში. ეს პროცესი მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღებით არ შემოიფარგლებოდა. თითოეული მონაწილე ნელ-ნელა აცნობიერებდა საკუთარ როლს საზოგადოებაში, იმას, რომ მშვიდობა არ არის მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შედეგი, არამედ ადამიანების ყოველდღიური დამოკიდებულებების, არჩევანისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობაა. ტრენინგები ხშირად გადაიზრდებოდა დისკუსიებში, სადაც განსხვავებული აზრები არა დაპირისპირებას, არამედ ახალი იდეების დაბადებას უწყობდა ხელს.

ახალგაზრდული კონცეფცია – რეალური დოკუმენტი

პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი გახდა ახალგაზრდული სამშვიდობო კონცეფციის შექმნა. ეს არ იყო უბრალოდ ფორმალური დოკუმენტი, ეს იყო მონაწილეთა გამოცდილების, ხედვებისა და ღირებულებების სინთეზი. კონცეფცია განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, რომლებზეც უნდა დაფუძნდეს ახალგაზრდული საქმიანობა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მიმართულებით. ეს დოკუმენტი შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი პლატფორმა მომავალი ინიციატივებისთვის და ახალი პროექტების დასაწყებად.

შედეგების შეჯამება და ახალი გზების გახსნა

დასკვნითი ღონისძიება მხოლოდ ფორმალური ანგარიშგება არ ყოფილა. ეს დღე იყო ემოციური, შთამაგონებელი და ერთიანობის განცდით სავსე. მონაწილეებმა წარადგინეს საკუთარი ნამუშევარი, ისაუბრეს მიღებულ გამოცდილებაზე და გაუზიარეს აუდიტორიას ის გზავნილები, რომლებიც მათთვის ამ პროექტმა გაჩინა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა კონცეფციის ოფიციალური პრეზენტაცია, შესრულებული სამუშაოს შეფასება, ექსპერტთა უკუკავშირის მიღება და რეკომენდაციების განხილვა. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ახალგაზრდებს მიეცათ შესაძლებლობა, საკუთარი შრომა გაეზიარებინათ პროფესიონალი პირებისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ვოლსკი,** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი **დავით ფაცაცია,** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის აპარატის უფროსი **შერმადინ შარია,** აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს სამშვიდობო და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ნინო ციხელაშვილი,** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენელი **ანდრო ბიწაძე,** ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი **ვახტანგ ბააკაშვილი,** „ქართველთა და აფხაზთა საზოგადოება – ერთობა ხვალისთვის“ თავმჯდომარე **გიორგი შერვაშიძე,** ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარტის წევრი, „ქართველთა და აფხაზთა საზოგადოება – ერთობა ხვალისთვის“ თავმჯდომარის მოადგილე **შორენა ახალაია,** შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ნატალია ლაზბა,** გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი** და ფონდის წარმომადგენელი **მაია ჩიტაშვილი,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **თეა ჯუღელი,** ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები; ასევე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ვახტანგ თაქთაქიძე,** რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში **მერაბ ბერიძე** და პროფესორი **მაკა ბერიძე.** მათი ჩართულობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მსგავსი ინიციატივები ქვეყნისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს.

ღონისძიების ერთ-ერთი გამორჩეული ნაწილი იყო სასახლეში გამართული საინფორმაციო-შემეცნებითი ტური, რომელმაც მონაწილეებს საშუალება მისცა კულტურულ სივრცესთან უფრო ახლოს მისულიყვნენ. ასეთმა აქტივობამ ღონისძიებას დამატებითი სიმბოლური დატვირთვა შესძინა, კულტურა და ისტორია ხომ ხშირად სწორედ ის ხიდია, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს მაშინაც კი, როცა მათ შორის „საზღვრები“ არსებობს.

იმედი, რომელიც აუცილებლად იძცევა რეალურ ძალად

პროექტმა კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა, რომ მესხი ახალგაზრდები მზად არიან აიღონ პასუხისმგებლობა და გახდნენ დიალოგის, ნდობისა და თანამშრომლობის პროცესის აქტიური მონაწილეები. მათში არის ენერგია, იდეები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გულწრფელი სურვილი – შეცვალონ რეალობა უკეთესობისკენ. შექმნილი ახალგაზრდული სამშვიდობო კონცეფცია კი არაა მხოლოდ ერთჯერადი შედეგი, ეს არის დასაწყისი იმ გზისა, რომელიც შეიძლება გადაიზარდოს უფრო ფართო მოძრაობაში და რეალურ ცვლილებებში. დღეს, როდესაც საზოგადოებას განსაკუთრებით სჭირდება ერთობა, ურთიერთგაგება და მშვიდობა, მსგავსი ინიციატივები გვახსენებს, რომ მომავალი ჩვენს ხელშია და ხშირად სწორედ ახალგაზრდების ერთიანი ხმა ხდება ის ძალა, რომელიც ისტორიას ახალ მიმართულებას აძლევს.

ეს არის ისტორია იმედზე, თანამშრომლობასა და იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც არ ელოდებიან მომავალს, ისინი თავად ქმნიან მას.

მესხი ახალგაზრდები უდავოდ წერენ ისტორიას!

ანანო გუგელაძე
ინგლისური ფილოლოგიის მე-2 კურსის სტუდენტი

ინფორმაციები

● **16-20 მარტს,** ქალაქ რენში, გაიმართა ფრანგულ-ქართული სასწავლო კვირეული, რომელშიც მონაწილეობდნენ საფრანგეთისა და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტები. პროგრამა ინტენსიური იყო და მიზნად ისახავდა აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებას, მობილობის განვითარების ხელშეწყობასა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

ღონისძიება დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოადგენდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მთავარი სპეციალისტი **გურანდა მოდებაძე** და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **ლევან მაკარაძე.** კვირის განმავლობაში მონაწილეები დაესწრნენ სხვადასხვა სახის შეხვედრებს. კულტურულმა აქტივობებმა – რენის, სენმალოსა და მონსენ-მიშელის ტურებმა მონაწილეებს საშუალება მისცა, გაეღრმავებინათ ცოდნა საფრანგეთის ისტორიულ და ინსტიტუციურ კონტექსტზე. აქტივობების განმავლობაში, სჯუნ-ს წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს ფრანგი პარტნიორების – ინსტიტუციური ლიდერების, პროექტების კოორდინატორებისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან.

ფრანგულ-ქართულმა სასწავლო კვირეულმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ორი ქვეყნის უმაღლესი განათლების სექტორებს შორის მტკიცე პარტნიორობა და გახსნა ახალი შესაძლებლობები მობილობის ინიციატივებისა და გრძელვადიანი აკადემიური თანამშრომლობისთვის.

● **16 მარტს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ბანკის მხარდაჭერით, სტუდენტებისთვის შეთავაზებული სასწავლო კურსის ფარგლებში, გაიმართა მნიშვნელოვანი და საინტერესო ლექცია ფინანსურ და ეკონომიკურ წიგნიერებაზე, რომელსაც პროფესორი **როინ თათეშვილი** უძღვებოდა.

ლექცია კურსის პირველი შეხვედრა იყო და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის ფინანსური განათლების გაღრმავებას – ფულის მართვის, ეკონომიკური პროცესების გააზრებისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მიმართულებით.

შეხვედრაზე განხილული იყო მნიშვნელოვანი თემები: ბიუჯეტირება; დაზოგვა; ინვესტირება; ფინანსური რისკები; ეკონომიკური გარემო.

კურსის მთავარი მიზანია: სტუდენტებში ფინანსური აზროვნების განვითარება; საკუთარი ფინანსების ეფექტურად მართვის სწავლა; ეკონომიკური პროცესების უკეთ გააზრება; მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

მსგავსი ინიციატივები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომავალი თაობის ფინანსურად გამართული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეების ჩამოყალიბებაში.

● **17 მარტიდან,** ერთი კვირის განმავლობაში სჯსუ-ში ინტენსიურად მიმდინარეობდა მზადება შიდა ჩემპიონატისთვის მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც გოგონები, ასევე ვაჟები. ტურნირი დაძაბულ და სანახაობრივ ატმოსფეროში წარიმართა და მონაწილეებმა მაღალი სპორტული ოსტატობა გამოავლინეს.

ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა 24 მარტს გაიმართა. სპორტულ შეჯიბრში გამარჯვებულები შემდეგნაირად განაწილდნენ:

ვაჟებს შორის პირველი ადგილი დაიკავა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა **ლუკა ელისაბედაშვილმა,** მეორე ადგილი – განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა **გიორგი ქუქჩიშვილმა,** მესამე ადგილი მოიპოვა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა **ნიკა ტატურაშვილმა.**

გოგონებს შორის საპრიზო ადგილები სრულად გადაინაწილეს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა: პირველი ადგილი – **ანნა მიქაელიანმა,** მეორე ადგილი – **არინა მეძოიანმა,** მესამე ადგილი – **დიანა ღვალაძემ.**

საპრიზო ადგილების მფლობელებს გამარჯვება მიულოცა და სიგელებით დააჯილდოვა უნივერსიტეტის რექტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ.**

აღნიშნული სპორტული ჩემპიონატის ორგანიზება უზრუნველყოფილი იყო უნივერსიტეტის სპორტისა და კულტურის განყოფილების მიერ.

● **23 მარტს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა სერიის **„მოგზაურობა ინოვაციების და ტექნოლოგიების სამყაროში“** ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით ცნობიერების ამაღლება, ასევე, სახელმწიფო პროგრამებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება. ღონისძიებაზე პრეზენტაცია გაკეთა ინოვაციების საზოგადოების განვითარების პროექტების მენეჯერმა **ზურაბ ძიძიგურმა.**

ღონისძიების ფარგლებში განხილულ იქნა: ინოვაციური იდეების ფორმირებისა და განვითარების პროცესები; სტარტაპ ეკოსისტემის ძირითადი ასპექტები; დაფინანსების შესაძლებლობები და მიმდინარე პროგრამები; თანამედროვე ტექნოლოგიური ტენდენციები.

აღნიშნული ინიციატივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს რეგიონებში, ვინაიდან ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობას, ინოვაციური აზროვნების განვითარებას და ტექნოლოგიური ეკოსისტემის გაძლიერებას. პროექტის პარტნიორები არიან გამომცემლობა – „ლურჯი ოკეანე“, GITA-ს ერთ-ერთი წარმატებული სტარტაპი „ჩემპი“ და კომპანია „ნატახტარი“.

● **26 მარტს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, გაიმართა მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი შეხვედრა, რომელიც ტერიტორიული თავდაცვის რეზერვის პროგრამის გაცნობას მიეძღვნა.

ღონისძიება გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ.** მისი თხოვნით, აუდიტორიამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გარდაცვლილი პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ხსოვნას.

რექტორმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის არსებულ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული ურთიერთობა მომავალშიც კიდევ უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** და მე-10 ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადის, 104-ე ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის მეთაურმა, ვიცე-პოლკოვნიკმა **გოჩა ბათაძემ.**

ღონისძიება ორგანიზებული იყო უნივერსიტეტის სტუდენტი რეზერვისტების მიერ. პრეზენტაციას უძღვებოდნენ რეზერვისტები **იური ბალახაძე, სალომე ხმალაძე** და **სოფო კოჟორიძე.** მათ დამსწრეებს დეტალურად გააცნეს თავდაცვის რეზერვის პროგრამის არსი, მიზნები და მნიშვნელობა, ასევე, გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება სარეზერვო მომზადების პროცესის შესახებ და ამომწურავად უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს.

ღონისძიებამ სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია. დამსწრეებმა მიიღეს სრულყოფილი ინფორმაცია ტერიტორიული რეზერვის პროგრამის შესახებ, მის მნიშვნელობაზე რეგიონში მისი როლის გათვალისწინებით. შეხვედრამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებასა და ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი ინტერესის ზრდაში.

● **31 მარტს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთათვის, Erasmus+ ETHICS (Responsible Conduct of Research esearch Integrity and Ethics in Georgian Universities) პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების ცნობიერების ამაღლების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ვორკშოპი – „Café“, რომელსაც უძღვებოდნენ პროექტის მენეჯერი, პროფესორი **თინა გელაშვილი,** პროექტის წევრები: პედაგოგი **თეონა ჟუჟუნაძე** და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **ხათუნა კვინცხაძე.** ღონისძიება საინტერესო დისკუსიით წარიმართა. დასასრულს, მონაწილეებს დაურიგდა კვლევის ეთიკის შესახებ საცნობარო ფურცლები და ფასიანი საჩუქრები.

● **1 აპრილს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა პროექტის – **„საზოგადოებრივი პროკურატურა“** ფარგლებში. შეხვედრის თემა იყო პირადი ცხოვრების ხელყოფა და ამ მიმართულებით ცნობიერების ამაღლება.

უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდნენ სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის წარმომადგენლები: პროკურორის მოადგილე **ლევან სალია,** საგამოძიებო სამმართველოს უფროსი გამომძიებელი **გიორგი გვარამაძე** და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი **მარიამ მიქუტიშვილი.** მათ სტუდენტებს მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია პირადი ცხოვრების დაცვის ევროპული სტანდარტების შესახებ, ასევე, გააცნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პასუხისმგებლობა და აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა სტატისტიკური მონაცემები.

შეხვედრა ინტერაქციულ ფორმატში წარიმართა, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევდა, დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები და მიეღოთ სრულყოფილი პასუხები.

აღსანიშნავია, რომ პროექტი „საზოგადოებრივი პროკურატურა“ მიზნად ისახავს სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, დანაშაულის პრევენციას, პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი ნდობის გაძლიერებას.

● **2 აპრილს,** უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ **„სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციას“** შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი რექტორმა **ვახტანგ თაქთაქიძემ** და ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **დავით მუმლაძემ** მოაწერეს. ხელშეკრულების ფარგლებში, მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო კოორდინაციაზე, რაც გულისხმობს, პირველ რიგში, ტურიზმის მიმართულების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას.

მემორანდუმი ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში, რაც მათ დაეხმარება თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარჩვევებად გარდაქმნაში და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში.

„დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ მზადყოფნას გამოთქვამს, უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკა, გაუზიაროს მათ დარგობრივი გამოცდილება და ხელი შეუწყოს სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ კვლევითი პროექტის განხორციელებას. თავის მხრივ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის შესაბამისობას თანამედროვე ტურისტული ინდუსტრიის მოთხოვნებთან.

აღნიშნული თანამშრომლობა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია რეგიონში კვალიფიციური კადრების მომზადებისა და უნივერსიტეტსა და დამსაქმებელ სექტორს შორის მყარი კავშირების დამყარების გზაზე.

ინფორმაციები
*უნივერსიტეტის **facebook**-ის*
გვერდიდან

ინფორმაციები

● **2 აპრილს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტში, „სამეცნიერო გულანის“ მორიგი სხდომა გაიმართა.

პროფესორ **მერაბ ბერიძის** მოხსენება – **„ქართული ცივილიზაცია და მესხეთის ბუნება“** იყო მოგზაურობა დროში, რომელმაც დაგვანახა, რომ მესხეთი არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოებრიობის აკვანია, არამედ ბუნებასთან გონივრული თანაარსებობის უნიკალური მაგალითიცაა.

მოხსენებაში განხილული იყო თემები, რომელიც შეეხებოდა ქართული ცივილიზაციის ფორმირებასა და მესხეთის კულტურულ თავისებურებებს ისტორიული განვითარების ჭრილში. ყურადღება გამახვილდა საქართველოს კლიმატურ და გეოგრაფიულ მრავალფეროვნებაზე, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასა და ეთნოგრაფიულ ტრადიციებზე. ასევე, გამოიკვეთა მთისა და ბარის ურთიერთკავშირი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განსაზღვრავდა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას.

შეხვედრა საინტერესო დისკუსიით გაგრძელდა; მონაწილეებმა იმსჯელეს ტრადიციული სამეურნეო გამოცდილებისა და თანამედროვე გამოწვევების ურთიერთმიმართებაზე, გლობალიზაციის პირობებში კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელობაზე და რეგიონული ისტორიის კვლევის პერსპექტივებზე.

წინაპართა გამოცდილება – „სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია“ – დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. ეს შეხვედრა იყო შეხსენება იმისა, რომ ჩვენი მომავალი სწორედ ამ ისტორიული გამოცდილების გააზრებაზე გადის.

„სამეცნიერო გულანი“ აერთიანებს აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლებს და ხელს უწყობს სამეცნიერო იდეების გაცვლასა და აქტუალურ საკითხებზე მსჯელობას.

● **21-23 აპრილს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ტამპერეს უნივერსიტეტის პროფესორებს, აკადემიური წერის ექსპერტ მკვლევარს – **ქეით მორს** და საერთაშორისო პროექტების მენეჯერს და მკვლევარს, განათლების მიმართულებით, **იულია შუმილოვას** უმასპინძლა.

აღნიშნული ვიზიტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის არსებული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებისა და საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით. სტუმრები შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორს **ვახტანგ თაქთაქიძეს.** შეხვედრაზე განხილულ იქნა უნივერსიტეტებს შორის უკვე დაწყებული თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების შესაძლებლობები, ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინიციატივების განხორციელების პერსპექტივები, ასევე, საერთაშორისო პროექტებში თანამშრომლობის გაძლიერების საკითხები.

სამდღიანი ინტენსიური სატრენინგო პროგრამა მიზნად ისახავდა აკადემიური წერის კომპეტენციების განვითარებასა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების გაზიარებას. პროგრამაში მონაწილეობდნენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. ვიზიტი დაფინანსებული იყო ERASMUS+-ის ფარგლებში, რომელსაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტამპერეს უნივერსიტეტთან 2019 წლიდან ახორციელებს.

● **30 აპრილს,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კაბინეტში, **„სამეცნიერო გულანის“** მორიგი სხდომა გაიმართა.

სხდომაზე მოხსენებით – **წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელმწიფოებრივი ხედვა გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდის მიხედვით** – წარდგა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნესტან სულავა.**

მომხსენებელმა დეტალურად გაანალიზა წმ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ასპექტები და წარმოადგინა მნიშვნელოვანი სამეცნიერო დასკვნები:

თეოდორესა და ქრისტეფორეს აფხაზეთში გაპარვის მიახლოებითი თარიღი, 826 წლის ახლო ხანები;

წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ აფხაზეთში ეკლესიის აგების თაობაზე უარის თქმის მიზეზი;

უბისის ტაძრის აგების მიახლოებითი თარიღი – 827-830 წლები,



რის დადგენა შესაძლებელი გახდა აფხაზეთში დემეტრეს მეფობის თარიღის, არგვეთის ეპარქიის სტატუსის გათვალისწინებით, როდესაც იგი ქართლის საკათოლიკოსოში შედიოდა, რაც მოსალოდნელი იყო 830 წლამდე; 830 წლიდან აფხაზეთის საკათოლიკოსოს შემადგენლობაში გადავიდა, რის შემდეგაც წმ. გრიგოლ ხანცთელი აფხაზეთში ტაძარს ვერ ააგებდა ბიზანტიაზე მისი ორიენტირებულობის გამო;

დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოსო ცენტრების გამოყოფა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან და აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსების თანადროულობა;

გიორგი მერჩულის მიერ წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებად წარმოდგენა.

სხდომა მეცნიერებისა და სადოქტორო პროგრამების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** შეაჯამა. მან ყურადღება გაამახვილა წარმოდგენილი კვლევის აქტუალობაზე და მის როლზე უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში.

ინფორმაციები
უნივერსიტეტის facebook-ის
გვერდიდან

14 აპრილს, უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა ქართული ენის, როგორც ქვეყნის მთავარი ღირებულებისა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიმბოლოს მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

ენის ისტორიულ როლსა და თანამედროვე გამოწვევებზე ისაუბრეს რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** ასოცირებულმა პროფესორმა **ნატო ყრუაშვილმა** და 1978 წლის ისტორიული მოვლენების უშუალო მონაწილეებმა: პროფესორმა **მერაბ ბერიძემ,** სპორტის, კულტურისა და მუზეუმის განყოფილების უფროსმა **თემურ მაღრაძემ** და ასოცირებულმა პროფესორმა **ლალი ბერიძემ.**

საღამო განსაკუთრებული ემოციით წარიმართა, როდესაც ისტორიული პროცესების მონაწილეებმა აუდიტორიას იმ ერთიანობასა და ბრძოლაზე უამბეს, რომელმაც ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი შეუნარჩუნა. მათი პირადი მოგონებები ერთგვარი ხიდი აღმოჩნდა წარსულსა და დღევანდელობას შორის.

ღონისძიების დასასრულს ახალგაზრდებმა საკუთარი და ცნობილი პოეტების ლექსები წაიკითხეს. მათმა გამოსვლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მშობლიური ენის სიყვარული და გაფრთხილება თაობებს შორის უწყვეტ კავშირად რჩება.

ღონისძიება კულტურის სამსახურის, სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა.

ქართული ენა – ჩვენი იდენტობის საფუძველი

14 აპრილი, დედაენის დღე, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია, რომელიც ქართულ ენას ეძღვნება. ენა, მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად, უმთავრესი ღირებულებაა ჩვენთვის და ეროვნული იდენტობის მყარ საფუძველს წარმოადგენს.

1978 წლის მოვლენებს უკავშირდება 14 აპრილის ისტორია. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, საქართველოს კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი ამოეღო. ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების დიდი ნაწილი წინ აღუდგა. სტუდენტებმა და მოქალაქეებმა მშვიდობიანი პროტესტით დაიცვეს ქართული ენის სტატუსი. მათი ერთიანობისა და ძალისხმევის შედეგად ქართული ენა კვლავ სახელმწიფო ენად დარჩა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების საპატივცემულოდ აღინიშნება დედაენის დღედ 14 აპრილი, დღე, რომელიც ერთობის, ღირსებისა და ეროვნული თვითშეგნების დღესასწაულია.

დედაენაა ჩვენი არსებობის ფესვი. ყოველი ერი საკუთარ იდენტობას ენით ქმნის და ინარჩუნებს, ქართული ენა კი ის საძირკველია, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა ჩვენი კულტურა, ტრადიციები და სულიერი სამყარო. სწორედ ამიტომ, დედაენის დღე განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია თითოეული ქართველისთვის.

დედაენა პირველი წიგნია, რომელსაც ბავშვი ეცნობა. აქედან იწყება სამყაროს შეცნობა, აზროვნების ჩამოყალიბება და კულტურის გათავისება. ამიტომ, დედაენის დაცვა მხოლოდ სახელმწიფოებრივი საქმე არ არის, ეს თითოეული ადამიანის ყოველდღიური პასუხისმგებლობაა.

ქართული ენა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური ენაა. მას აქვს საკუთარი დამწერლობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული, რაც განსაკუთრებულ კულტურულ ფასეულობას წარმოადგენს. ქართული ანბანი არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ჩვენი ისტორიისა და სულიერი სამყაროს ამსახველი სიმბოლოა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქართული დამწერლობის სამი სახეობა იუნესკომ კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში მიიღო.

რაც დრო გადის, იზრდება 14 აპრილის მნიშვნელობა. დღეს ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსს, საბედნიეროდ არაფერი ემუქრება, თუმცა, გლობალიზაციის ეპოქაში ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ქართველი ერია, ენის მოვლა, დაცვა, სერიოზული გამოწვევაა. ეს დღე გვახსენებს, რომ უნდა დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას. როდესაც უცხო სიტყვები და გავლენები სულ უფრო იზრდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ენის სიწმინდის შენარჩუნება და მისი განვითარება.

48 წელი გავიდა 1978 წლის მოვლენებიდან და 14 აპრილმა სულ სხვა ფუნქცია და მნიშვნელობა შეიძინა. ეს დღე, გარდა იმისა, რომ რჩება სიმბოლოდ ქართველი ხალხის ერთიანობის, ეროვნული თვითმყოფადობისა და იმ თავდადების, რომლითაც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი იდენტობა დაიცვეს, იგი იქცა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეების ინტეგრაციის საშუალებად.

რატომ არის ქართული ენა უნიკალური? ჩვენი ენა ჩვენი სიმდიდრეა, რაც რამდენიმე გამორჩეული ფაქტითაც დასტურდება; როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ანბანი მსოფლიოს 14 ორიგინალურ დამწერლობას შორისაა. ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებს თავის ბუნებასა და სილამაზეს. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“ გრიგოლ ორბელიანის ეს სიტყვები დღესაც ზუსტად გამოხატავს იმას, თუ რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს მშობლიურ ენას, რომელიც გამორჩეულია თავისი გრამატიკით, ლექსიკით, ჟღერადობით, ფილოსოფიით.

თანამედროვე, ციფრული კომუნიკაციების ეპოქაში ენის განვითარება მხოლოდ ენათმეცნიერების საქმე აღარ არის, ეს საერთო კულტურული და ტექნოლოგიური პროცესია. თუ ენა არ ერგება ახალ რეალობას, ის, მართლაც, შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს, ამიტომ მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართულებით მუშაობა: პირველ რიგში, ქართული ენა აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ციფრულ სივრცეში. ეს ნიშნავს, რომ უნდა ვწერდეთ, ვკითხულობდეთ და ვაზიარებდეთ ტექსტებს ქართულ ენაზე სოციალურ ქსელებში, ბლოგებში, ფორუმებზე. თუ ყოველდღიური კომუნიკაცია მთლიანად სხვა ენაზე გადადის, მშობლიური ენა ნელ-ნელა სუსტდება, თუ ენა ვერ „საუბრობს“ ტექნოლოგიასთან, ის თანამედროვე ცხოვრებიდან იდევნება. ციფრული ეპოქა ყოველდღე ქმნის ახალ ცნებებს, და თუ მათთვის ქართულენოვანი შესატყვისები არ იქმნება, უცხო სიტყვები მთლიანად ჩაანაცვლებს ადგილობრივს.

განათლება მნიშვნელოვანი საყრდენია ენისთვის. სკოლებსა და უნივერსიტეტებში ქართული ენის პოპულარიზაცია მუდმივად უნდა ხდებოდეს, არ უნდა დავივიწყოთ ქართული ფილმები, მუსიკა, ლიტერატურა.

ენის დაცვა არ ნიშნავს სიახლეებზე უარის თქმას, პირიქით, ენა ცოცხალი ორგანიზმივით მუდმივად უნდა ვითარდებოდეს და ახალ რეალობას ერგებოდეს, თუმცა, ამ პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ენამ შეინარჩუნოს საკუთარი ბუნება, უნიკალურობა და იდენტობა, რადგან სწორედ ეს განსაზღვრავს მის განსაკუთრებულობას და კულტურულ მნიშვნელობას. ენა ძლიერია მაშინ, როდესაც მას ადამიანები ყოველდღიურად, ბუნებრივად იყენებენ როგორც სახლში, ისე ონლაინ სივრცეში.

ამგვარად, 14 აპრილი საქართველოს ისტორიაში ეროვნული თვითმყოფადობის, ენისა და კულტურის დაცვის სიმბოლოა. ამ დღემ ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს საზოგადოების ერთობა მაშინ, როდესაც საქმე საერთო ღირებულებებს ეხება. ქართული ენა ჩვენი იდენტობის საფუძველია და მისი დაცვა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაა. სწორედ ამიტომ, 14 აპრილი გვახსენებს, რომ წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა გავაგრძელოთ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ანა ბერიძე
იურიდიული ფაკულტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი

სულიერი სიმშვიდის ხმები

ლამაზი, ყვავილებით მოფენილი მდელოს ხილვას სული კრძალვით ესწრაფვის, გონებას თავდაპირველად უჭირს გაიაზროს, რატომ ხდება ასე, რამეთუ, ყოველდღიური ყოფითი პრობლემებისგან გადაღლილი სხვანაირ სიხარულს ჰპოვებს მონასტრის ნაზი სიოს შეხებისას. სული სხვაა, მისი ტკივილიცა და სიხარულიც განსხვავებულია, რწმენის მსგავსად, შეუძლებელია მისი მოქცევაც ჩარჩოებში.

რამდენიმე დღე ვფიქრობდი, როგორ უნდა მისულიყო მკითხველამდე ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის, ახალციხის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვრის, იღუმენია ნატალიასთან (ქაფიანიძე) ჩაწერილი ინტერვიუ. გულწრფელი აღსარების მსგავსად გეტყვით, გულსა და სულს სხვა უნდოდა, გონებას სხვა; საბოლოოდ, გონებამ იმძლავრა, უარი ვთქვი ჩემს შემოქმედებით ჩარევაზე და თქვენს წინ იტერვიუ წარმოდგენილია ზუსტად იმ სახით, როგორითაც ის შედგა. მხოლოდ და მხოლოდ, მინდა კიდევ ერთხელ პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო დედების მიმართ, რამეთუ მათ ჩემს სულს კიდევ ერთხელ მოასმენინეს ის ხმა, რომელიც მას ესოდენ დიდი ხნის წინ დავიწყებოდა...

– დედაო, მონასტრის ყოველდღიური ცხოვრება და საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია. როგორ აერთიანებთ სულიერ მოღვაწეობას, ხელსაქმესა და საზოგადოებრივ მსახურებას ერთიან წეს-განგებაში? რომ მოგვიყვეთ დედების საქმიანობის შესახებ?

– ახალციხის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერი 1998 წლიდან მოქმედებს. მანამდე, ჩვენ საფარისა და შემდეგ ბოდბის მონასტერში ვცხოვრობდით. საფარაში ცხოვრებისას, შევისწავლეთ ოქრომკედით ქარგვა და დავაარსეთ საეკლესიო სამოსის სახელოსნო. რაც კი სამღვდელოებას ესაჭიროება, ყველანაირ სამოსსა და საეკლესიო-ღვთისმსახურო ნივთებს ვკერავთ და ვქარგავთ; მათ შორის, ჩვენი, აწ განსვენებული, პატრიარქის ილია მეორისთვის გვაქვს მოქარგული არაერთი შესამოსელი და მიტრა. თავიდან ხელით ვქარგავდით, ხოლო შემდეგ, როდესაც საქართველოს ეკლესია გაიზარდა – პროგრამული საქარგავი მანქანითაც ვქარგავთ. მართალია, ხელით ნამუშევარს მანქანით შესრულებული ვერ შეედრება, თუმცა, ესეც საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვს. დღეს ჩვენი შრომით ვემსახურებით არა მარტო სამღვდელოებას, არამედ ჯარსაც – ინსიგნიებს ვქარგავთ ჯარისთვის, პოლიციისთვის, დაცვისთვის... გვიხარია, რომ ჩვენს ნამუშევარს ატარებენ. ვფიქრობ, მათაც უხარიათ, რადგან ხშირად გვთხოვენ ხოლმე ლოცვებში მოხსენიებას.

როდესაც ჩვენი ჯარი საომარ ვითარებაში იყო, მაგალითად ავღანეთში, ან სხვა მისიებში წასასვლელად, ჩვენ მათ გვარებთან ერთად სახელებსაც ვიწერდით, რათა მოგვეხსენიებინა ჩვენს ლოცვებში. ასევე იყო 2008 წლის საომარი ვითარების დროსაც. ეს ყველაფერი ჩვენთვის ძალიან ემოციური იყო.

გვაქვს ხატწერის სახელოსნო, ვამზადებთ ხელნაკეთ საპნებს, ქართული ორნამენტებით ვქარგავთ ქართულ ტრადიციულ სამოსს, ქუდებს, საფულეებსა და ჩანთებს. ვამზადებთ მურაბებსა და ჯემებს. ასევე, ვმუშაობთ თექაზე და ვცდილობთ ყველანაირი ხელსაქმის შესწავლას.

ნამუშევრებს ხშირად საჩუქრად გავცემთ, თუმცა, ფაქტობრივად, ჩვენი მონასტერი ამ ხელსაქმით ცხოვრობს. ამასთანავე, ჩვენს მონასტერში ცხვება სეფისკვერი მთელი ეპარქიისთვის.

მონასტერში 16 ნევრი ვართ და ყველამ იცის თითოეული ის საქმე, რაც მონასტერში კეთდება – დაწყებული მებაღეობით, დამთავრებული ქარგვითა და სხვა ხელობებით. ამასთანავე, ვამრავლებთ ბზებს. ქართული კოლხური ბზა „წითელ წიგნშია“ შეტანილი და გადაშენების პირასაა მისული, ამიტომ ძალიან ვცდილობთ, რომ ბზობას ხალხმა მოტეხილი ტოტი კი არა, დაფესვიანებული ნერგი წაიღოს სახლში, რათა მცენარე როგორმე გადავარჩინოთ.

იცით, ღმერთი ხედავს გულს, თუ გულით და გულდასმით გავაკეთებთ, აუცილებლად გამოვა. მონდომება ხომ საქმის ნახევარია. მახსენდება უწმინდესის სიტყვები: როდესაც მცენარეს ახარებთ, თქვით – გაიხარე, გამახარე, შენც იხარე, მეც მახარეო. ეს უთხარით, მათ ესმით, ელაპარაკეთ და აუცილებლად გაიხარებსო. მართლა ასეა, მოტეხილი ბზის ტოტიც მარტივად ხარობს, მთავარია არ მოაკლოთ ის, რაც სიცოცხლისთვის საჭიროა, ადამიანსაც ხომ ეს სჭირდება – წყალი, ყურადღება და სითბო.

მონასტერი თავისი ტიპიკონით – ლოცვითი და შრომითი განგებებითაა დაკავებული. თავიდან ძალიან პატარა ეზო გვქონდა, თუმცა დედების შრომით გავფართოვდით და გავიზარდეთ. აქ დამხმარე არ გვყავს, საქმეში სრულად დედები არიან ჩართულები. მათ გამოჰყავთ ნერგებიც. ახლა ვამრავლებთ უწმინდესის სახელობის ვარდის ჯიშს, სახელად – ილია II, რაც განსაკუთრებით გვიხარია – იისფერი, ულამაზესი ვარდია.

– თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ მონასტერი მხოლოდ ლოცვის ადგილი არ არის – ის, ერთდროულად, საგანმანათლებლო ცენტრიცაა და ტრადიციული ხელობის კერაც; როგორ ახერხებენ დედები, ასეთი მრავალმხრივი შრომითა და ახალგაზრდებთან მუშაობით, მესხეთი კვლავ აქციონ ბერ-მონაზვნობის იმ ძლიერ აკვნად, რომელიც საუკუნეების წინ იყო?

– ჩვენი ეპარქია იმითაც არის ძლიერი, რომ აქ ბევრი ეკლესია-მონასტერია. ჩვენი მხარე, მესხეთი, ბერ-მონაზვნობის უძველესი აკვანია. ჩვენი ეპარქიის მღვდელმთავრის, მიტროპოლიტი თეოდორეს ძალისხმევით ეს ტრადიცია გრძელდება. ძლიერი და კარგი ეკლესია-მონასტრები გვაქვს საფარაში, ვარძიაში, ზედა ვარძიაში, აგარებში, საროში, ზარზმაში, ჭულევში, უდეში, არალში და ასე შემდეგ. მინდა, რომ ყველა იცნობდეს მათ.

ასევე, გვაქვს ძალიან კარგი სასულიერო სემინარია, სადაც აღიზრდებიან ჩვენი მომავალი სასულიერო პირები თუ მორწმუნე ადამიანები, რომლებიც საღვთისმეტყველო და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის განათლებას იღებენ. ახალგაზრდები დაინტერესებულები არიან, მოდიან და სწავლობენ. ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე ისწავლება სხვადასხვა ხელობა, როგორიც, მაგალითად, ჩვენს მონასტერში გვაქვს: მინანქარი, ხატწერა, ხეზე კვეთა, ჭედურობა, თექა, ქარგვა. საფარის მონასტერში გვაქვს საღვთისმეტყველო ფაკულტეტი, სადაც სტუდენტები სათანადო განათლებას იღებენ და კურსდამთავრებულთა უმეტესობა საღვთისმეტყველო საქმიანობას განაგრძობს. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი ადგილები არსებობს ჩვენს გვერდით, ჩვენს ეპარქიასა და ქალაქში. კარგი იქნებოდა, მოგვარ იძულებას წინააღმდეგობამდე მივყავართ. ადამიანებმა უნდა დათმონ მცირედი უკეთესის მისაღებად – ეს ნებისყოფის საკითხია.

– დედაო, რომ გვითხრათ იმ ჯგუფების შესახებ, რომლებიც მგალობელთა გუნდთან ერთად არიან ან იყვნენ თქვენს მონასტერში?

– დიახ, გვყავდა 14-16 წლის გოგონებისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებმაც მოგვმართეს და მათ ქარგვა შევასწავლეთ. ასევე, ჩვენს მონასტერში მონაზვნები არიან ენახულებინათ და გაცნობოდნენ.

– საამწუხაროდ, ბევრმა არ იცის იმ ეკლესია-მონასტრების შესახებ, რომლებზეც ისაუბრეთ. თქვენი აზრით, რატომ?

– როდესაც რაღაც გაინტერესებს, მის შესახებ ინფორმაცია უნდა მოიძიო. მოძიება სხვადასხვანაირად შეიძლება. ძალიან გავრცელებულია სოციალური ქსელით ძიება, რაც არასრულყოფილია; სულ სხვაა, როდესაც მიხვალ, პირადად შეეხები და გაეცნობი; სულ სხვა – პატარა აბზაცის წაკითხვა ან რაღაც ათწამიანი ვიდეოს ყურება. ადამიანმა თავად უნდა მოინდომოს, მივიდეს და გაეცნოს, რადგან თავისით მასთან არაფერი მივა – არც სემინარია და არც მონასტერი. ინტერნეტით ბევრი სასარგებლო ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ, მაგრამ სოციალური ქსელის უარყოფით მახასიათებლებს სწორედ ის მიეკუთვნება, რომ დამოკიდებული ხდება ადამიანი და გარეთ გასვლა და ურთიერთობები აღარ უნდა. თუ ახალგაზრდები სოციალურ ქსელებს მოსცილდებიან, წიგნების კითხვას მეტ დროს დაუთმობენ, მეტ დროს გაატარებენ სუფთა ჰაერზე და იმოგზაურებენ, გაცილებით მეტს გაიგებენ და ისწავლიან, ვიდრე იმ პატარა ფანჯრიდან იყურონ, რასაც გაჯეტი და ტელეფონი ჰქვია; სჯობს, ისინი გვერდით გადადონ, ჰქონდეთ ცოცხალი კონტაქტი ადამიანებთან, იმოგზაურონ, პირადად მივიდნენ და გაეცნონ; ასეთ დროს ცხოვრება გაცილებით საინტერესო იქნება. ადამიანებმა თვითონ უნდა მოინდომონ და დაეხსნან ამას, რადგან ვერანაირი იძულება შედეგს ვერ მოიტანს; ყოველ-

იან წლებში 35 ბავშვისგან შემდგარი დიდი გუნდი გვყავდა, დღეს კი მათი შვილები დადიან და გალობენ ეკლესიაში. ასეთი ტრადიცია გვაქვს: აღდგომის დღეს, სადღესასწაულო მსახურების შემდეგ, მეუფე თეოდორე მგალობლებსა და მრევლის ბავშვებს მასპინძლობს. აღდგომას ნამდვილი ზეიმი გვაქვს. ნიჭიერი ახალგაზრდები მოდიან და, მართლაც, სააღდგომო განწყობას გვიქმნიან. ეს ტრადიცია ჩვენი მონასტრის დაარსების დღიდან იღებს სათავეს – ყოველ აღდგომას, მეუფის მოწვევით, მის რეზიდენციაში ტრადიციული საზეიმო ტრაპეზი იმართება. სხვა ქალაქში გადასახლებული ჩვენი ყოფილი მგალობლებიც კი ბრუნდებიან ამ დღეს, ზოგი შვილებით, რადგან იციან – მეუფესთან დიდი ზეიმი ელოდებათ. წელს პირველი წელია, რაც ეს ტრადიცია ამ ფორმით არ განგვიხორციელებია, რადგან უწმინდესის გარდაცვალებიდან 40 დღე არ იყო გასული. აღდგომა არის უდიდესი და უმთავრესი ქრისტიანული ბრწყინვალე დღესასწაული, გამოხსნისა და იმედის დღესასწაულია, რადგან სიცოცხლემ გაიმარჯვა სიკვდილზე და აღარ არსებობს სიკვდილის შიში. თუ ღმერთს, აღმდგარ იესო ქრისტეს ვირწმუნებთ, მაშინ სიკვდილი აღარაფერია. წმ. იოანე ოქროპირის დიდებული სიტყვებია: „სადა არს, სიკვდილო, სანრეტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი? აღსდგა ქრისტე და დაირღვი შენ, აღსდგა ქრისტე და დაეცნეს ეშმაკნი, აღსდგა ქრისტე და ცხოვრება, მოქალაქობს“. ეს არის იმედის, სიცოცხლის დღესასწაული. ალბათ, ძალიან ბუნებრივი მოვლენაა, რომ იმ ადამიანსაც, ვინც არ არის მორწმუნე, მასაც კი აღდგომის დღესასწაული სხვანაირად უხარია იმიტომ, რომ ყველა ადამიანის ქვეცნობიერში დევს ეს. მე ვულოცავ ყველას – ყველა ქრისტიანსა და მორწმუნეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ვუსურვებ, რომ აღდგომის დღესასწაულის სიხარული არასოდეს განელებოდეთ გულში.

– ყვავილები, მცენარეები ჩვენს პატრიარქსაც ძალიან უყვარდა. ყვავილებიანი ეზო თითქოს ლამაზი ტრადიციაა, რომლის სათავეც ილია მეორეა.

– უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს ძალიან უყვარდა მცენარეები, ლამაზი ეზო-ბაღები. ჩვენც ვცდილობთ, გავალამაზოთ ჩვენი სავანე, მრავალი სახეობის ხე-მცენარეები და დეკორატიული ბუჩქები გვაქვს, რომლებსაც ჩვენ თვითონ ვკრეჭთ და ვაძლევთ სხვადასხვა ფორმებს. უწმიდესის კურთხევით ვცდილობთ, თანამედროვე ტექნოლოგიებშიც გავერკვეთ. მისი ინტრონიზაციის დღეს, გასული წლის 25 დეკემბერს, უწმინდესს ჰქონდა მიღება. როდესაც მასთან მისალოცად მივიდა სამღვდელოება, მან საკმაოდ საინტერესო ლოცვა-კურთხევა გასცა: „მე გავალებთ, რომ შეისწავლოთ სხვადასხვა ენები და დაეუფლოთ თანამედროვე ტექნოლოგიებს.“ წარმოიდგინეთ, 92 წლის უხუცესი, ძალიან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი – პატრიარქი პირდაპირ მოუწოდებს ყველას, რომ კიდევ უფრო განვითარდნენ. იგი ყოველთვის დიდ აქცენტს აკეთებდა ცოდნასა და განვითარებაზე. ეს იმიტომ მოვყევი, რომ როდესაც დაგვჭირდა დეკორატიული ბუჩქების დიზაინის შესწავლა, ჩვენ ეს ინტერნეტიდან შევისწავლეთ.

– ყურადსაღებია მისი, თითქოსდა, მარტივი სამი სიტყვა: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.“

– დიახ, უწმიდესის სიტყვებია „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი“. მას ძალიან უყვარდა ღმერთი, ადამიანები და თავისი სამშობლო. ვრცელდება ვიდეო-ამონარიდები, სადაც უწმიდესის თბილი და გულწრფელად ნათქვამი სიტყვებია: „მიყვარხარ, საქართველო.“ ეს სამი სიტყვა „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი,“ ძალიან მარტივად გასაგები და ამასთანავე ძალიან ღრმაა. ის გვასწავლიდა, რომ აუცილებლად უნდა ვიყოთ ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის მოყვარულები. ერთმანეთის სიყვარულის გარეშე ვერ გვეყვარება სამშობლო და ღმერთი.

– 12 მაისს საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღე აღინიშნება, თუმცა ქართველებს თითქოს გვავიწყდება ხოლმე ასეთი მნიშვნელოვანი დღესასწაულები. როგორ შეიძლება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ მიმართულებით?

– 12 მაისს საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღე და წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე აღინიშნება. პირველ საუკუნეში წმ. მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა საქართველოში და დაარსა პირველი კათედრა აწყურში – ჩვენს ეპარქიაში. საქართველო პირველივე საუკუნიდან ეზიარა ქრისტეანულ სარწმუნოებას. ეს ისტორიული მომენტი უმთავრესია საქართველოს ეკლესიის ისტორიაში და ყველა ქართველმა უნდა გაითავისოს ეს. ისევ უწმინდესის სიტყვებს დავესესხები, მას მუდამ ჰქონდა იმედი, რომ საქართველო გადარჩებოდა. ხშირად ამბობდა – ნუ გეშინიათ, საქართველო გადარჩება, ყველაფერი კარგად იქნება. არ შემიძლია არ დავიჯერო პატრიარქის და არ ვენდო მის სიტყვებს. უიმედობა – ურწმუნეობაა, ამიტომ მე მწამს ღმერთის და მჯერა ჩემი პატრიარქის. ბევრი საცთურის მიუხედავად, საქართველო მაინც გადარჩება. ღმერთი არ მიატოვებს თავისი დედის წილხვდომილ ქვეყანას.

– დედა ნატალია, მონასტრის, როგორც ადამიანის გადამრჩენელზე რომ გვესაუბროთ?

– გადამრჩენელი მხოლოდ ღმერთია, ეკლესია და მონასტერი შუამავალია ჩვენს გადარჩენაში. აუცილებელია ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე სიარული, ლოცვა, მარხვა, აღსარება და ზიარება. სულიერ მოძღვარს უნდა მივმართოთ რჩევისთვის, თუ რამე გვიჭირს, ან თუ რამე მავნე ჩვევას, რომელიც გვაზიანებს, ვერ ვუმკლავდებით, რომ მოძღვარმა დაგვაყენოს სწორსა და სულის მაცხოვნებელ გზაზე. მონასტერს აქვს გარკვეული ტიპიკონი – განრიგი, რომლის დამორჩილების ვალდებულებაც აქვთ მონასტრის ნევრებს. ვიცით, რომ გვაქვს კონკრეტული სამორჩილე საქმე და

გაგრძელება მე-10 გვ.

სულიერი სიმშვიდის ხმები

მე-9 გვერდიდან

ვალდებულები ვართ, რომ ის შევასრულოთ. როდესაც ამ დისციპლინაში დგები, ეს ნელ-ნელა ჩვევაში გადადის და საკუთარი თავის მართვას ადვილად სწავლობ. აი, თუნდაც ჯარი რომ ავიღოთ, იქაც ასეა დისციპლინა დაცული; ხოლო თუ ადამიანი მიშვებულია, არანაირ ვალდებულებას არ უყენებს თავს და ყველაფერი დაშვებულია მისთვის, მაშინ ის მავნე ჩვევებისგან თავს ადვილად ვერ დააღწევს. აუცილებელია, თავს აიძულოს და თავი დაიმორჩილოს. ზუსტად ასეა მონასტერშიც – აქ არის წესი, განგება და ამ წეს-განგებაში, ამ „ჩარჩოში“ ვართ ჩვენ, თუმცა, ეს არ ნიშნავს ჩვენი თავისუფალი ნების შეზღუდვას. აქ ყველა წევრი თავისუფალი ადამიანია, ძალიან ფართო გაგებით თავისუფალი, თუ უნდა – არის, თუ არა – არავინ აკავებს. ესეც თავისუფალი არჩევანია, რომ შენ ამ დისციპლინაში, ამ განგებაში ჯდები და, შესაბამისად, იწყებ სწორ ცხოვრებას, საკუთარი თავის სწორად მართვას. მონასტერში მთელი ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობაა ლოცვით, წმინდა გულით და შრომით განწმენდილებმა მოვიპოვოთ მარადიული სიცოცხლე ღმერთში. ჩვენი ცხოვრების არჩევანი ასეთია. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ ერში დარჩენილი ადამიანი აუცილებლად წარწყდება. არა! მთავარია გვწამდეს, რომ არსებობს მომავალი ცხოვრება და ადამიანის ცხოვრების დაახლოებით 80-90 წელიწადში არ მთავრდება სიცოცხლე, ის გრძელდება და სამუდამოა. მომავალი ცხოვრებისთვის უნდა ვიღვაწოთ, ის უნდა მოვიპოვოთ და დავიმსახუროთ.

– ეპარქიის ეზოში არის გრიგოლ ხანცთელის სახელობის ტაძარი, რომლის ისტორია მრავალი საინტერესო და სიმბოლური მოვლენით არის გამორჩეული. როგორ აფასებთ ამ პროცესში ღვთის ნებისა და განგების როლს?

– პატრიარქის კურთხევა იყო, რომ ყველა საეპისკოპოსო რეზიდენციაში უნდა ყოფილიყო ტაძარი. ჩვენ თავიდან მანსარდში გვქონდა სამლოცველო მოწყობილი, რომელიც იყო ღვთისმშობლის მიძინების სახელობის, ხოლო შემდეგ ავაგეთ ეს ტაძარი. 2009 წელს მეუფემ, პატრიარქის კურთხევით, გადაწყვიტა, აქ აშენებულიყო ტაძარი და გავჭერით საძირკველი; ეზოსთან შესაბამისობაში რომ ყოფილიყო, მომცრო, პატარა ზომის ტაძარი. მშენებლობის დასაწყისში, როდესაც საძირკველი მოეწყო და პირველი წყება ქვები დალაგდა, ჩვენს ქალაქში, ახალციხეში, კოსტავას ქუჩაზე, დაიწყო ტროტუარების რეკონსტრუქცია. სასტუმრო „მესხეთის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აყარეს ტროტუარის ქვა, უნდა გაესწორებინათ და აღმოჩნდა, რომ ყველა ის ქვა, რაც ტროტუარად იყო დაგებული, იყო ძველი ტაძრის თლილი ქვა. მერიას მივმართეთ თხოვნით, რომ ქვა გადმოეცა ჩვენთვის, ხოლო ჩვენ სანაცვლოდ სხვა, ახალ ფილაქანს შევუძენდით. შეისწავლეს აღნიშნული საკითხი, რომ ეს ქვები ნამდვილად ძველი ტაძრის ქვა იყო და გადმოგვცეს. მოვიტანეთ და დავიწყეთ კედლების ამოყვანა. როგორც ვთქვი, საძირკველი და პირველი ქვის ფენა ამოყვანილი გვქონდა, ანუ ზომა უკვე განსაზღვრული იყო და ეს მოტანილი ძველი ქვა ზუსტად იმდენი აღმოჩნდა, რამდენიც ამ ტაძარს დასჭირდებოდა, ერთი ცალიც არ დაგვრჩენია ზედმეტად. სავარაუდოდ, ამ ზომის ტაძარი დაანგრიეს კომუნისტების დროს, რომელიც შემდგომ ფილაქნად გამოიყენეს. ღვთის ნებით, ტაძრის ქვა თავის პირვანდელ დანიშნულებას დაუბრუნდა და აშენდა ეს ტაძარი.

შემდგომ, როდესაც გადახურვაზე მივიდა საქმე, ამ დროს არლის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი შენდებოდა და მისმა ქტიტორმა, ბატონმა თემურ თათეშვილმა იტალიიდან ჩამოიტანა ტაძრის გადასახურად კრამიტი, რომელიც საჭიროზე მეტი აღმოჩნდა და დარჩენილი კრამიტი ჩვენს ტაძარს შემოსწირა, რაც ასევე ზუსტი რაოდენობის იყო. ამიტომ ვამბობთ, რომ ამ ტაძარმა საკუთარი თავი თვითონ აიშენა, ყველაფერი შემოწირულია. რაც ჩვენ გვინდოდა, რომ გაგვეღო ჩვენი ტაძრისთვის – ერთადერთი საძირკველია, რაც გავაკეთეთ, დანარჩენი ყველაფერი სხვადასხვა პიროვნების შემოწირულია. ჩვენი ტაძრის ქტიტორად ვთვლით, ასევე აწ გარდაცვლილ იოსებ (ბიჭი) მაჭავარიანს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული; მან ყველა დარჩენილი სამშენებლო მასალა შემოსწირა და ორ წელიწადში დასრულდა მშენებლობა.

2011 წლის ივნისში, როდესაც პირველი ღვთისმსახურება უნდა შესრულებულიყო, უწმინდესი ჩამობრძანდა ეპარქიის მოსალოცად და პირველი მსახურება მან აღასრულა და ასე იკურთხა ჩვენი ტაძარი. ძალიან მახარებს ეს ისტორიული მომენტი, რომ პირველი მსახურება უწმინდესმა აღავლინა. ამ დროს, ამ ტაძარში მოხდა ჩემი ხელდასხმაც პატრიარქის მიერ.

– როგორ აისახა გრიგოლ ხანცთელის პიროვნება და მისი ეპოქა ტაძრის მოხატვასა და საერთო კონცეფციაში?

– ძალიან დიდი წმიდანია გრიგოლ ხანცთელი – „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“. მის დროს, აშოტ კურაპალატის მეფობისას გაერთიანდა საქართველო. აშოტ მეფე წმიდა გრიგოლის რჩევებით მოღვაწეობდა და გააერთიანა საქართველო. იგი დიდი სასულიერო მოღვაწე იყო და ამასთანავე, იმ დროის უდიდესი საერო და პოლიტიკური ფიგურა.

ტაძრის მოხატვა შარშან დასრულდა – ხატმწერმა გოჩა ჩიქოვანმა მოხატა. ვეცადეთ, რომ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოხსენიებული წმინდანებით ყოფილიყო მოხატული, გარდა ძირითადი ათორმეტთაგან დღესასწაულთა სცენებისა. აქ არიან წმინდა მთაწმინდელი მამები: გიორგი, ექვთიმე, იოანე, გიორგი მაშენებელი, იოანე-თორნიკე. აქვე არიან მენელსაცხებლე დედები და მათთან ერთად წმიდა თამარ მეფე. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში მოხსენებული წმინდა მამები და დედები და, ასევე, წმ. საბიანე სამცხელი, წმ. სერაპიონ ზარზმელი და შალვა ახალციხელიც არიან გამოსახულნი. აქვეა გიორგი მერჩულეც, წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების ჩვენამდე მომტანი. ტაძარში დაბრძანებული ხატების უმეტესობა ჩვენს მონასტერშია შესრულებული.

მსურს, უნივერსიტეტის გაზეთის შემოქმედებით ჯგუფს მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი მონასტრით დაინტერესებისთვის და გისურვოთ წარმატება, მრავალი საინტერესო, სასარგებლო და სიკეთით სავსე თემების სიმრავლე და ბევრი თქვენი გაზეთით დაინტერესებული და მადლიერი მკითხველი.

ღმერთი იყოს ყველას შემწე და მფარველი.

იხარეთ ორსავ სოფელსა შინა.

– მადლობა, დედაო, გულწრფელი, სიღრმისეული და ამავე დროს ძალიან თბილი საუბრისთვის. თქვენი თითოეული სიტყვა სავსე იყო რწმენით, სიყვარულითა და იმედით, რაც დღეს განსაკუთრებით სჭირდება ადამიანს. გისურვებთ სულიერ გაძლიერებასა და მრავალ კეთილ საქმეს.

– მადლობა თქვენ დაინტერესებისათვის.

ინტერვიუერი
ნატალია ვარდიძე
ქართული ფილოლოგიის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი

აგრონომია, როგორც მომავლის არჩევანი ამბავი ხუთგზის მოპოვებულ ნდობაზე

საქართველოში, სადაც აგრარული კულტურა საუკუნეებს ითვლის, აგრონომიის პროფესია დღეს ახალ სიცოცხლეს იძენს. თანამედროვე სტუდენტებისთვის ეს აღარ არის მხოლოდ მიწის დამუშავება; ეს არის მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ტრადიციების სინთეზი. სწორედ ასეთი ხედვით დაიწყო 2022 წელს აკადემიური გზა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა მინდია ტატალაშვილმა, რომლისთვისაც აგრონომია არა უბრალოდ არჩევანი, არამედ რეგიონის განვითარებაზე ზრუნვის საშუალება გახდა.

– მინდია, რა იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც აგრონომიის მიმართულებით არჩევანი გაგაკეთებინათ?

– სფეროს მრავალი ხიბლი აქვს, რადგან მოცულობით დიდია და მრავალ საინტერესო მიმართულებას მოიცავს. მე ყოველთვის მიზიდავდა ვაზი, მეღვინეობა, აგროტურიზმი და მათი მნიშვნელობა ჩვენი კუთხისთვის. სწორედ, ამ დამოკიდებულებამ განაპირობა ჩემი არჩევანი ამ სფეროსადმი. შედეგად, 2022 წელს გავხდი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

– როგორ აღწერთ თქვენს აკადემიურ გზას დღემდე და რა ეტაპი იყო ყველაზე გარდამტეხი?

– აკადემიური გზა, ძირითადად, თეორიულ სწავლებას მოიცავს, რაც ხშირად ერთფეროვანია, მაგრამ აგრარული სფერო პრაქტიკულ ნაწილსაც მოიცავს. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები, ლექტორებთან ერთად, ვგეგმავდით და შემდგომ ვსტუმრობდით მეურნეობებს, სადაც ვაკვირდებოდით და ვსწავლობდით მათ საქმიანობას, ასევე, ვქმნიდით ახალ ურთიერთობებს. ამგვარი აქტივობები და ღონისძიებები ამრავალფეროვნებს აკადემიურ გზას, გეხმარება მოტივაციაში და ხშირად გარდამტეხი ეფექტიც აქვს.

– რა სახის სტიპენდიებს იღებთ? რას ნიშნავს თქვენთვის თამაზ ბექაიას ფონდის სტიპენდიის ხუთჯერ მოპოვება?

– ამ ეტაპზე სამი სახის სტიპენდიას ვიღებ, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თამაზ ბექაიას სახელობის ფონდის სტიპენდიას. ამ ფონდის მნიშვნელობა მხოლოდ ფინანსური დახმარებით არ განისაზღვრება – ის ქმნის გარემოს, სადაც შრომა და პროგრესი ფასდება. ხუთჯერ ამ სტიპენდიის მიღება უფრო სისტემურ შეფასებას ჰგავს, ვიდრე ერთჯერად წარმატებას. მათი საქმიანობა და ინიციატივები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან რეალურად აძლიერებს ახალგაზრდებს და აჩვენებს, რომ განათლებას და განვითარებას აქვს მხარდაჭერა.

– როგორ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება სწავლისა და პასუხისმგებლობის მიმართ მრავალგზის სტიპენდიანტობის შემდეგ?

– ალბათ, ყველაზე მეტად პასუხისმგებლობის შეგრძნება გაიზარდა. როდესაც ერთხელ აღწევ შედეგს, ეს კარგია, მაგრამ ამას რამდენჯერმე რომ იმეორებ, უკვე ხვდები, ეს შემთხვევითი აღარ არის – ეს არის შენი სტანდარტი. შესაბამისად, საკუთარ თავთანაც უფრო მომთხოვნი გავხდი. აღარ არის საკმარისი „კარგად“, ყოველთვის მინდა „უკეთ“.

– როგორ ხედავთ აგრონომიის როლს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში?

– საქართველოს ამ კუთხით დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ დღეს ამ რესურსს სათანადოდ არ ვიყენებთ. აგრონომიის როლი სოციალური და ეკონომიკური კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან, განსაკუთრებით რეგიონებისთვის, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ძირითადი დასაქმების სფეროა. მას სათანადო ყურადღების მიქცევა ესაჭიროება, სადაც არაერთი ადამიანის ჩართულობაა საჭირო.

– თქვენი, როგორც სტუდენტის ხედვით, რა არის დღეს საქართველოში ყველაზე დიდი გამოწვევა სოფლის მეურნეობის სფეროში?

– დღეს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად მივიჩნევ ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებად ეფექტიან გამოყენებას. ხშირ შემთხვევაში არსებობს რესურსი, მაგრამ არ ხდება მისი სრულად ათვისება. ეს გამოწვეულია კოოპერატიული და საგანმანათლებლო მიდგომების ნაკლებობით ფერმერებს შორის. ამას ემატება კლიმატის ცვლილება, რომელიც ახალ სირთულეებს ქმნის და მოითხოვს უფრო მოქნილ და ადაპტირებულ მიდგომებს. ვფიქრობ, ამ გამოწვევების დასაძლევად აუცილებელია განათლების, პრაქტიკისა და ინოვაციების უფრო მჭიდრო კავშირი.

– როგორ შეუძლია ახალგაზრდას რეალური ცვლილებების შეტანა ამ სფეროში?

– ახალგაზრდებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება, რადგან მათ აქვთ ახალი ცოდნა, ენერგია და განსხვავებული ხედვა. მნიშვნელოვანია, რომ ისინი არ შემოიფარგლონ მხოლოდ თეორიით და აქტიურად ჩაერთონ პრაქტიკაში; ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება – იქნება ეს აგროტექნიკა, მონაცემთა ანალიზი თუ ინოვაციური მიდგომები – საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტიანი და მდგრადი შედეგები მივიღოთ. ვფიქრობ, ცვლილებები სწორედ ასეთი აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდებისგან იწყება.

– როგორია თქვენი სამომავლო პროფესიული გეგმები?

– სამომავლოდ მსურს გავაგრძელო განვითარება აგრონომიის მიმართულებით, როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ დონეზე. მაინტერესებს კვლევითი საქმიანობაც და იმ ინოვაციების დანერგვა, რომლებიც გააუმჯობესებს სოფლის მეურნეობის ეფექტიანობას. ჩემი მიზანია, ვიყო პროფესიონალი, რომელიც არა მხოლოდ საკუთარ კარიერაზეა ორიენტირებული, არამედ რეალურ წვლილს შეიტანს ამ სფეროს განვითარებაში.

– რას ეტყოდით სტუდენტებს, რომლებიც ახლა იწყებენ გზას აგრონომიაში?

– ვეტყოდი, რომ არ შეხედონ აგრონომიას, როგორც მარტივ გზას – ეს ნამდვილად მოითხოვს დიდ შრომას. მაგრამ თუ ამ პროცესში გულით ჩაერთვებიან, ძალიან საინტერესო გზა ელით. სტუდენტურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია, რომ არ შემოიფარგლონ მხოლოდ სპეციალობით – რაც შეიძლება მეტი ნახონ, სცადონ, იკითხონ და იფიქრონ. საბოლოოდ, სწორედ ეს გამოცდილება განსაზღვრავს მათ წარმატებას.

– მინდია, მადლობა საინტერესო საუბრისთვის.

– მადლობა თქვენ.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

მშვიდობის, როგორც ღირებულების გააზრებისთვის

ჩვენი რესპონდენტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022 წელს ჩამოყალიბებული აფხაზური ცენტრის თავმჯდომარე **რიმა სუდაძეა.** დაარსების დღიდანვე ორგანიზაცია აქტიურად და მონდომებით ახორციელებს თავის საქმიანობას. ცენტრის მიერ გადადგმული ნაბიჯები დღითიდღე უფრო მრავალფეროვანი ხდება. ცენტრს ამბიციური მიზნები აქვს, რომელიც ერთდროულად მოიაზრებს როგორც განათლებას ისე, აქტიურ ქმედებას.

თანამედროვე სამყაროში, სადაც კონფლიქტები და ომები სამწუხარო რეალობაა, განსაკუთრებით აქტუალური ხდება მშვიდობის, როგორც უმთავრესი ღირებულების გააზრება და მისი პრაქტიკაში დანერგვა. სწორედ ამ იდეას ემსახურებოდა ბათუმში გამართული ხუთდღიანი ტრენინგების ციკლი **„მშვიდობა, როგორც ღირებულება“,** რომელმაც სხვადასხვა უნივერსიტეტიდან შეკრებილ ახალგაზრდებს მისცა შესაძლებლობა, სიღრმისეულად დაფიქრებულიყვნენ მშვიდობის მშენებლობის მნიშვნელობაზე. სოხუმის, ბათუმისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტები მშვიდობის თემაზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

პროექტში მონაწილეობდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ცენტრის – **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** – 10 წევრი, **რიმა სუდაძის** ხელმძღვანელობით. ახალგაზრდებმა გაიღრმავეს ცოდნა, გაცვალეს მოსაზრებები, მიიღეს გამოცდილება. ჩვენს ინტერვიუში ვეცდებით იმის გარკვევას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მსგავს ინიციატივებს, როგორ ხედავენ ახალგაზრდები მომავალს და რა გამოწვევებთან უწევთ მათ გამკლავება დღევანდელ რეალობაში.

– რიმა, ვიდრე უაშუალოდ შევეხებოდეთ ბათუმში ჩატარებულ ტრენინგებს, ვფიქრობთ, საინტერესოა, თქვენი აზრით, რატომ არის მშვიდობა ღირებულება?

– ჩემთვის მშვიდობა მხოლოდ კონფლიქტის არარსებობას არ ნიშნავს. ეს არის განვითარების, განათლებისა და ადამიანური ღირსების წინაპირობა. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, განსაკუთრებით ნათლად ვხედავ, რომ იქ, სადაც არ არის მშვიდობა, შეზღუდულია ახალგაზრდების შესაძლებლობები, დიალოგი რთულდება და საზოგადოების წინსვლა ფერხდება. მშვიდობა ქმნის სივრცეს, სადაც განსხვავებული აზრები არ იწვევს დაპირისპირებას, არამედ ხდება თანამშრომლობის საფუძველი. სწორედ ამიტომ, მე მას აღვიქვამ როგორც ღირებულებას, რომელიც არა მხოლოდ სტაბილურობას, არამედ პროგრესსა და საერთო მომავალს უზრუნველყოფს.

– აფხაზური ცენტრის მონაწილეობით ბევრი ტრენინგი ჩატარდა. რა გამოარჩევდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ შეხვედრას?

– ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ტრენინგები ჩემთვის გამოირჩეოდა მათი სიღრმითა და პრაქტიკულობით. განსხვავებით სხვა ტრენინგებისგან, აქ აქცენტი მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე არ კეთდებოდა. პროცესი იყო მეტად ინტერაქციული და მონაწილეებზე ორიენტირებული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სიმულაციური აქტივობები, რომლებმაც რეალურ კონტექსტში დაგვანახა, თუ როგორ მუშაობს დიალოგი, კონფლიქტის მართვა და გადაწყვეტილებების მიღება. სწორედ ეს პრაქტიკული გამოცდილება იყო ის, რაც ტრენინგებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა და მიღებულ ცოდნას მეტად დასამახსოვრებელსა და გამოყენებადს ხდიდა.

ამასთანავე, ტრენინგების გარემო იყო ღია და უსაფრთხო, რაც თითოეულ მონაწილეს აძლევდა შესაძლებლობას თავისუფლად გამოეხატა საკუთარი აზრი და აქტიურად ჩართულიყო დისკუსიებში. შედეგად, ეს არ იყო მხოლოდ ინფორმაციის მიღების პროცესი, ეს იყო სივრცე, სადაც ყალიბდებოდა კრიტიკული აზროვნება, ურთიერთპატივისცემა და მშვიდობის კულტურის რეალური გააზრება.

განსაკუთრებით დიდი მუხტის მატარებლები იყვნენ იქ მყოფი ახალგაზრდები. სწორედ მათი ენერგია, ინტერესი და თანამშრომლობის სურვილი ქმნიდა იმ გარემოს, სადაც დიალოგი რეალურად მუშაობდა და მშვიდობის იდეა პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენდა. სწორედ, ამ ფაქტორების ერთობლიობა გამოარჩევდა ბათუმში ჩატარებულ ტრენინგებს და მათ ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად აქცევდა.

– ბათუმი იყო შესაძლებლობა, თქვენი გზავნილები ახალგაზრდებისთვის გაგეზიარებინათ. ბათუმში სამი უნივერსიტეტის სტუდენტები შეხვდით ერთმანეთს. იყო თუ არა განსხვავებული ხედვები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობასთან მიმართებით?

– ბათუმში გამართული შეხვედრები ჩემთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იყო – გამეზიარებინა ჩემი გზავნილები ქართველი ახალგაზრდებისთვის და, ამავდროულად, მომესმინა მათი ხედვებისთვისაც. სამი სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ურთიერთობამ კიდევ უფრო გაამდიდრა ეს გამოცდილება, რადგან თითოეულ მათგანს ჰქონდა განსხვავებული პერსპექტივა, ცოდნა და ემოციური დამოკიდებულება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

დიახ, განსხვავებული ხედვები ნამდვილად არსებობდა, რაც ბუნებრივიც არის, რადგან ეს საკითხი ისტორიულ, პოლიტიკურ და პირად გამოცდილებებთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. თუმცა, მნიშვნელოვანია ის, რომ ეს განსხვავებები არ ქმნიდა დაპირისპირებას, არამედ პირიქით, ხდებოდა დიალოგის საფუძველი. დისკუსიების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ ახალგაზრდებს აერთიანებთ საერთო სურვილი, მეტი კომუნიკაცია, ურთიერთგაგება და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

განსაკუთრებით საინტერესო იყო იმის დანახვა, თუ როგორ იცვლებოდა მონაწილეების დამოკიდებულებები უშუალო კომუნიკაციის პროცესში. ხშირად წინასწარ არსებული სტერეოტიპები ნელ-ნელა იმსხვრეოდა, როდესაც ადამიანები ერთმანეთის პირად ისტორიებს, ემოციებსა და გამოცდილებებს ეცნობოდნენ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სწორედ კომუნიკაციის დეფიციტია, ხოლო მისი შექმნა უკვე დიდი ნაბიჯია ნდობის აღდგენისკენ.

ჩემთვის ეს გამოცდილება იყო ძალიან ღირებული, რადგან დავრწმუნდი, რომ მიუხედავად განსხვავებული ხედვებისა, ახალგაზრდებს აქვთ რესურსი და სურვილი, გახდნენ პოზიტიური ცვლილებების წამყვანი ძალა. სწორედ ასეთი შეხვედრები და ღია დიალოგი ქმნის იმ საფუძველს, რომელზეც მომავალში შეიძლება აშენდეს უფრო სტაბილური, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები.

– ახალგაზრდების შეხვედრა, აზრთა გაზიარება ყოველთვის საინტერესო, სახალისო და მომავლისკენ ორიენტირებულია. თქვენი აზრით, რა პერსპექტივები გააჩინა ბათუმის შეხვედრამ?

– ბათუმში გამართულმა შეხვედრამ ჩემთვის სრულიად ახალი პერსპექტივები გაიჩინა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციის გაძლიერების მიმართულებით. ეს არ იყო მხოლოდ ერთჯერადი შეხვედრა. ეს იყო პროცესი, რომელმაც აჩვენა, რომ ახალგაზრდებს რეალურად აქვთ სურვილი და მზაობა, აქტიურად ჩაერთონ დიალოგში და იფიქრონ საერთო მომავალზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ასეთმა შეხვედრებმა შექმნა საფუძველი უფრო ფართო თანამშრომლობისთვის. ჩემი ხედვით, საქართველოს მასშტაბით ეს გახდება დიდი საწყისი ახალგაზრდული გაერთიანებებისა, სადაც სხვადასხვა რეგიონიდან განსხვავებული გამოცდილების მქონე ახალგაზრდები გაერთიანდებიან საერთო ღირებულებების – მშვიდობის, თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის ირგვლივ. ვისაუბრეთ სამომავლო თანამშრომლობის შესახებ, გავცვალეთ იდეები, გავეცით და მივიღეთ რჩევები, გავიზიარეთ დამოკიდებულებები და ახალგაზრდული საქმიანობის გაძლიერებისთვის აუცილებელი გეგმები.

ამ პროცესმა კიდევ ერთხელ დაგვანახა – როდესაც ახალგაზრდებს ეძლევათ სივრცე, ისინი არა მხოლოდ აზრებს ცვლიან, არამედ ქმნიან ახალ იდეებს, ინიციატივებსა და პარტნიორულ ურთიერთობებს. სწორედ ამგვარი კავშირები შეიძლება გადაიქცეს გრძელვადიან თანამშრომლობად, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც საზოგადოებრივი თანხმობის გაძლიერებაში, ისე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მომავალ განვითარებაში.

ამიტომ, ბათუმის შეხვედრა ჩემთვის იყო არა მხოლოდ გამოცდილება, არამედ დასაწყისი, პლატფორმა, რომელიც მომავალში გადაიზრდება მასშტაბურ, ახალგაზრდულ მოძრაობად, ერთიანობისა და მშვიდობის იდეის გარშემო.

– ნათქვამია – „სწავლა სიბერემდეო“. რაც უფრო მეტს სწავლობ, ხვდები, რომ ცოდნის შეძენა დაუსრულებელი პროცესია. აფხაზური ცენტრის სამწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, რა საჭიროებებს ხედავთ, კიდევ რა მიმართულებით სჭირდება ცენტრს განვითარება?

– აფხაზური ცენტრის სამწლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, უკვე ნათლად ჩანს ის მნიშვნელოვანი პროგრესი, რაც მიღწეულია ახალგაზრდების ჩართულობის, დიალოგის გაძლიერებისა და მშვიდობის კულტურის პოპულარიზაციის მიმართულებით. თუმცა, ამავე დროს, იკვეთება გარკვეული საჭიროებებიც, რომლებიც ცენტრის შემდგომ განვითარებას კიდევ უფრო გააძლიერებს.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გეოგრაფიული გაფართოება. უფრო მეტი რეგიონის ახალგაზრდების ჩართვა, რათა ცენტრის საქმიანობა გახდეს უფრო მასშტაბური და ინკლუზიური. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების განვითარებას – ტრენინგები, სიმულაციები, ლიდერული და პრაქტიკული უნარების გაღრმავება, რაც მათ უფრო აქტიურ და ეფექტურ მონაწილეებად აქცევს საზოგადოებრივ პროცესებში. ამასთანავე, საჭიროა უფრო სისტემური და გრძელვადიანი პროექტების განხორციელება, რომლებიც ერთჯერად აქტივობებს გადააჭარბებს და უზრუნველყოფს მდგრად შედეგებს.

ჩემი შეფასებით, მნიშვნელოვანია, ასევე, კომუნიკაციისა და ცნობადობის გაზრდა, რათა ცენტრის ხმა უფრო ფართო აუდიტორიამდე მივიდეს და კიდევ მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს მის საქმიანობაში.

საბოლოოდ, აფხაზურ ცენტრს აქვს ძლიერი საფუძველი და გამოცდილება, თუმცა, მისი პოტენციალი ბევრად უფრო დიდია. განვითარების სწორი მიმართულებებით ის გადაიქცევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლატფორმად ახალგაზრდული დიალოგისა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

– დასასრულისთვის მინდა გკითხოთ, მკითხველი, რომელიც არ იცნობს აფხაზურ ცენტრს, რატომ უნდა გახდეს აფხაზური ცენტრის წევრი?

– თუ ადამიანი ჯერ არ იცნობს აფხაზურ ცენტრს, ვფიქრობ, მთავარი კითხვა უნდა იყოს არა მხოლოდ – რატომ უნდა გახდეს წევრი, არამედ რა გამოცდილებას მიიღებს აქ. აფხაზური ცენტრი არის სივრცე, სადაც ახალგაზრდები არ არიან უბრალოდ მონაწილეები. ისინი არიან პროცესის თანაავტორები, ადამიანები, რომლებიც საკუთარ ხმას მნიშვნელობას სძენენ და რეალურ ცვლილებაში მონაწილეობენ.

აქ გაწევრიანება ნიშნავს, შეხვდე განსხვავებულ აზრებს, ისწავლო დიალოგი იქ, სადაც რთულია და გაიაზრო, რომ მშვიდობა იწყება თითოეული ადამიანისგან. ეს არის ადგილი, სადაც შეგიძლია არა მხოლოდ ცოდნის მიღება, არამედ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა, ლიდერობა, კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანებთან ნამდვილი კავშირის შექმნა. ყოველთვის სიამაყით ვამბობ, რომ აფხაზურმა ცენტრმა თითოეულ ჩვენგანს საკუთარი გულის ხმისთვის ყური დაგვაგდებინა და გვამცნო, რომ მხოლოდ სიყვარულისა და პატივისცემისთვის, სითბოსა და გულწრფელობისთვის ვცხოვრობთ.

აფხაზური ცენტრი გაძლევს შესაძლებლობას, გახდე იმ თაობის ნაწილი, რომელიც არ გაურბის სირთულეებს, არამედ ცდილობს მათ გააზრებასა და მოგვარებას. ეს ცენტრი გასწავლის მოთმინებას, ყურადღებას, დაფასებას, ლამაზი ოცნებების ასრულებას, იმედების გამართლებას, კარგ ადამიანობას...

თუ გინდა, რომ შენი ხმა ისმოდეს, შენი იდეები რეალობად იქცეს და შენც იყო პოზიტიური ცვლილებების ნაწილი, მაშინ ეს სივრცე ნამდვილად შენთვის არის. გელით ჩვენს დიდ და სიყვარულით სავსე ოჯახში!

– მადლობა საინტერესო პასუხებისთვის. აფხაზური ცენტრის სახელი დღითიდღე უფრო ცნობადი ხდება და იზრდება საზოგადოების მოლოდინიც; ამიტომ გისურვებთ წარმატებებს რთულ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს გზაზე.

ინტერვიუერი
ანა ბერიძე
იურიდიული ფაკულტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი

შეხვედრა „მშვიდობის ელჩებთან“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ორგანიზაცია „მშვიდობის ელჩებთან“ ერთად, მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებას უმასპინძლა 28 აპრილს. შეხვედრის ფარგლებში მოეწყო ჩვენება ჟურნალისტ **ნატალია პაჭკორიას** დოკუმენტურ-მხატვრული ფილმისა – **„ინგირს მელე“,** რომელიც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონს, აფხაზეთს ეძღვნება. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს ახალგაზრდა თაობაში ინტერკულტურული დიალოგის გაძლიერებას და იმ სამშვიდობო ღირებულებების პოპულარიზაციას, რაც ქვეყნის მთლიანობისა და განვითარების საფუძველია.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორმა – **ვახტანგ თაქთაქიძემ,** რექტორის მოადგილემ, პროფესორმა **მაკა ბერიძემ,** სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **გიორგი ქოჩიაშვილმა,** ახალციხის მერმა **ვარლამ წიკლაურმა** და საკრებულოს თავმჯდომარემ **საბა კბილაშვილმა.** სტუმრებს, ასევე, მიესალმნენ ორგანიზაცია „მშვიდობის ელჩების“ თანადამფუძნებელი, პროფესორი **ირაკლი პაპასქუა,** უნივერსიტეტის დამაარსებელი, პროფესორი **მერაბ ბერიძე** და აფხაზური ცენტრის – „მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“ თავმჯდომარე **რიმა სუდაძე.** გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს მსგავსი ინიციატივების როლს სტუდენტთა და მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების საქმეში.

ღონისძიების ფარგლებში, საომმავლო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ორგანიზაცია „მშვიდობის ელჩებს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოაწერეს რექტორმა, **ვახტანგ თაქთაქიძემ** და ორგანიზაციის დირექტორმა, **ნათია ფეიქრიშვილმა.**

პროგრამის კულტურულ-შემოქმედებითი ნაწილი თემატურად აფხაზეთის ირგვლივ გაერთიანდა: ანსამბლ „მესხეთის უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილ აფხაზურ ცეკვას სტუდენტის – გიორგი კოჩიტოვის მიერ წაკითხული შოთა ნიშნიანიძის ლექსი „აფხაზური კანტატა“ მოჰყვა, დასასრულს კი კომპოზიტორმა **ნუკრი ღორჯომელაძემ** საკუთარი შემოქმედებიდან სოხუმისადმი მიძღვნილი სიმღერა შეასრულა.

ღონისძიების დასკვნითი ნაწილი დაეთმო ინტერაქციას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებმა და მოსწავლეებმა ფილმის ირგვლივ საკუთარი მოსაზრებები დააფიქსირეს და აუდიტორიას ნანახით გამოწვეული შთაბეჭდილებები გაუზიარეს. დასასრულს, სიმბოლური დატვირთვით, უნივერსიტეტის ეზოში ერთობლივად დაირგო წიწვოვანი ნერგი – „მშვიდობის ელჩების ხე“, როგორც ერთიანი და მშვიდობიანი მომავლის სიმბოლო.

ნაყოფიერი თანამშრომლობისა და სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერისთვის, მადლობის სიგელები გადაეცათ ვახტანგ თაქთაქიძეს, მაკა ბერიძეს, მერაბ ბერიძეს, რიმა სუდაძეს, ნუკრი ღორჯომელაძესა და ქორეოგრაფიულ ანსამბლს – „მესხეთის უნივერსიტეტი“.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც თბილისიდან მოწვეული სტუმრები, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების, კულტურისა და საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლები: სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **სერგი მუშკუდიანი,** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **საბა სამსონიძე,** სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელმძღვანელი **ჯუმბერ ჩოხელი,** „ახალციხის ციხის“ ხელმძღვანელი **ზაზა თამარაშვილი,** სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დირექტორი **დავით მუმლაძე,** ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ხათუნა ხმალაძე,** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ლელა ზაზაძე** და საჯარო სკოლების ხელმძღვანელები.

თბილისიდან მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: ორგანიზაცია „მშვიდობის ელჩების“ თანადამფუძნებლები – **მაკა ცაბუტაშვილი** და **ელეონორა ლაგვილავა,** ამავე ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი **ნატა კორძახია,** ფილმის „ინგირს მელე“ რეჟისორი **ნატალია პაჭკორია,** კომპანია „ასორტის“ დამფუძნებელი **ნატო ცომაია,** რესტორან „ციტრუსის“ დამფუძნებელი **ნონა თოდუა,** სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ირმა გელანტია-ახვლედიანი, სალომე ახვლედიანი,** ასოციაცია „ჩემი აფხაზეთის“ ხელმძღვანელი **ნინო შონია-მაისურაძე** და მწერალი **ელენე ოსეფაშვილი.**

ღონისძიება შეაჯამა პროფესორმა **მერაბ ბერიძემ.** ღონისძიების მოდერატორი გახლდათ პროფესორი **მაკა ბერიძე.**

„თეატრი – სული რომ არ დავკარგო“

დღევანდელი ჩვენი რესპოდენტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მეორე კურსის სტუდენტი გიორგი კოჩიტოვია. იგი გამორჩეული სტუდენტია თავისი შემოქმედებითა და თეატრალური ნიჭით. მაყურებელზე ყოველთვის ძლიერ და დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

– როდის და როგორ აირჩიეთ პროფესია? ბავშვობიდან გრძნობდით, რომ ეს თქვენი საყვარელი საქმე იქნებოდა?

– ზოგადად, ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ ვცადე პროფესიის მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ, საკმაოდ ბევრიც გამომივიდა, მაგრამ თავს ყოველთვის არაკომფორტულად ვგრძნობდი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი მოწოდება სცენაზე დგომა იყო.

მახსოვს, სოფელ საყუნეთში (მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, ალბათ 7-8 წლის), ჩამოვიდა ახალციხის თეატრი და სწორ დროს, სწორ ადგილას აღმოვჩნდი. ხალხი არ ჰყავდათ და შემომთავაზეს როლი. მართალია, ცოტა უცნაურად შემომთავაზეს, თითქოს მათთვის ეს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

შემომთავაზეს პატარა წრუწუნას როლი; ისიც მახსოვს, ორი ლარი არ გადამახდევინეს ბილეთის.

როდესაც სცენაზე დავდექი, ჩემი ცხოვრების მიზანი უკვე ვიპოვე. ამას სიტყვებით ვერავინ აღწერს – ეს შენ თვითონ უნდა შეიგრძნო. სცენაზე დგომა სასიამოვნო გულის შეტევას ჰგავს.

– როგორ შეცვალა თეატრმა თქვენი ცხოვრება? რა გაძლევთ შთაგონებას და რას გრძნობთ სცენაზე ყოფნისას?

– ჩემი ცხოვრება ბავშვობიდან იყო სცენა. ერთხელ რომ ავედი, ფაქტობრივად, არ ჩამოვსულვარ სცენიდან. სცენა ადამიანს ცვლის. ვისაც ჰგონია, რომ მსახიობობა ადვილი პროფესიაა, ძალიან ცდება. ყველაზე რთულია როლში შესვლა და უფრო რთულია გამოსვლა როლიდან. სცენა სრულად გცვლის. სცენას არ აინტერესებს, გცივა, გშია, გწყურია თუ ცუდად ხარ – რა როლიც გაქვს, ის უნდა იყო მაყურებლისთვის. თეატრი შენ თავთან ბრძოლა და ჭიდილია. თეატრში ვერავინ დაგეხმარება. იყო ის, ვინც გინდა რომ იყო – ეგ ყველაფერი შენ თვითონვე უნდა გააკეთო. როცა გვიან საღამოს, დაბალ განათებაში, სცენაზე ჩამოჯდები და სცენის მტვერს დაინახავ, მაშინ ფიქრობ შენი თავის განვითარებაზე. სცენას სხვა აურა აქვს, თუ შეიგრძნობ მას, მანდ მთავარი პერსონა უკვე შენ გახდები.

– გაგვიზიარეთ, როგორც მსახიობისთვის, რა ემოციები დაგიტოვათ აფხაზური ცენტრის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებამ „ბედი აფხაზი ხელოვანისა“, რომელიც ჩვენი უნივერსიტეტის სცენაზე დაიდგა?

– მეტად შემაყვარა აფხაზეთი, მეტად მომანდომა აფხაზეთში გათენებული დილა, მეტად დამანახა აფხაზეთის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ქართველებისთვის. ჩვენ მარტო კუთხე და ლამაზი მხარე კი არ დავკარგეთ – ჩვენ დავკარგეთ სამოთხის ნაწილი, რომელიც ნახევარ მსოფლიოს გვირჩევნია. მახსოვს, ერთი სული მქონდა დაწყებულიყო და მალევე დამთავრებულიყო, რადგან ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ რომ დაიწყო და ის მდგომარეობა დავიჭირე, რაც სცენას სჭირდებოდა, მაგ მომენტში, დამთავრება აღარ მინდოდა.

– თქვენი აზრით, ღონისძიება გააღვიძებს მაყურებელში ჩვენს მთავარ იდეას, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ბარიერი არ არსებობს?

– ვფიქრობ, ყველა, ვინც ამ ღონისძიებას დაესწრო, იგრძნობდა ერთიანობის და სიყვარულის დიდ ნაპერწკალს. ამიტომ, აუცილებელია ჩვენ, ახალგაზრდებმა, შევინარჩუნოთ ეს დიდი განძი ხელოვნებაში, ისტორიასა თუ ლიტერატურაში და კიდევ ბევრჯერ გავაცოცხლოთ ჩვენი საერთო წარსული თუ ისტორია – ის, რაც მარადიულია.

ძალიან კარგ საქმეს აკეთებს აფხაზური ცენტრი ახალციხეში. თვითონ სახელიც გვეუბნება იმას, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენი უნივერსიტეტისთვის, არამედ მთლიანი საქართველოსთვის. უბრალოდ, მეტი პიარია საჭირო იმისთვის, რომ უფრო განვითარდნენ და ხალხმა მეტი გაიგოს, მოუნდეთ ცენტრთან თანამშრომლობა, უნდოდეთ ზუსტად იგივე, რაც აფხაზური ცენტრის ბავშვებს – ხალხს მოანდომონ აფხაზეთი ისე, როგორც ჩვენ გვინდა.

– როგორ ხედავთ თქვენი შემოქმედებითი უნარების, განსაკუთრებით თეატრალური ნიჭის, მომავალ პერსპექტივას?

– აქ დასამალი არაფერია. ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი საქართველო ძალიან დიდი ხელოვნების, კულტურის და შემოქმედების თავშეყრის ადგილია და ამით ჩვენ ვამაყობთ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოში ხელოვნება დღეს-დღეობით არ ფასდება, თეატრი მშიერია, ძალიან დიდი მსახიობებიც კი ზოგჯერ მშივრები არიან საქართველოში. მსახიობი სრულად იხარჯება თეატრისთვის, იხარჯება სულიერად, ფიზიკურად და ამ ყველაფრისთვის 900 ლარს აიღებს. რა თქმა უნდა, ეს შიმშილს ნიშნავს. ჩემი მომავალი პერსპექტივა, დიდი ალბათობით, ორი სამსახური იქნება – თეატრი იმისთვის, რომ სული არ დავკარგო და მეორე – სამსახური იმისთვის, რომ მშიერი არ მოვკვდე.

რამოდენიმე წლის შემდეგ, ასევე, ჩემი თავი დაოჯახებული წარმომიდგენია. დიდი ალბათობით, არცერთი ადამიანის ცხოვრება არ უნდა მოშორდეს ხელოვნებას, თორემ ის უფერული გახდება, უფერული ცხოვრება კი ცხოვრების არქონაა. ამიტომაც, ეცადეთ, რომ ცხოვრებაში ხელოვნება და შემოქმედება არ დაკარგოთ, თუნდაც ფიქრობდეთ, რომ არ გამოგივათ. დავიჯერო, ხელოვნების ნატამალიც არ გექნებათ? არ არსებობს! მთავარია თქვენი ადგილის პოვნა...

– მადლობა ასეთი საინტერესო დიალოგისთვის. გისურვებთ წინსვლას და წარმატებას თქვენს საყვარელ პროფესიაში.

– გმადლობთ.

რადმილა ჩაჩანიძე
ინგლსური ფილოლოგიის
მე-2 კურსის სტუდენტი

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, თენგიზ მელიქიძე, ანა ბერიძე, პაკო ტატალაშვილი, თამია მსხვილიძე

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113

ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68

ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge